

## საბა

### საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

№ 7

ივლისი

2007

მიმართვა მართლმადიდებელ მშობელთა კავშირს  
ქუთაისის კათოლიკეთა ტაძარი  
ნუნციუსის მღვდლობის 25 წლისთავი  
იეზუიტები და საქართველო  
მამა პავლე შჩეპანეკის დანატოვარი

რედაქციის გვერდი

### ლია წერილი მართლმადიდებელ მშობელთა კავშირს

მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ, ვინც პაპისტია და დასადუპავად განწირულია (თქვენი აზრით !), და ამ დია წერილით მსურს მოგმართოთ სწორედ თქვენ, ვინც რამდენიმე წელია პროტესტით გამოდისართ, როგორც კი ვატიკანის წარმომადგენელი ჩამოდის სტუმრად, მანიფესტაციებს აწყობთ ნუნციატურის წინ CRS-ის პროექტის გამო (2005 წ.), თბილისის სახულიერო აკადემიის წინ იმყოფებით, სადაც კარდინალმა კასპერმა კონფერენცია უნდა ჩაატაროს (2006 წ.), ახალციხის უნივერსიტეტშიც ბრძანდებოდით სოფ. ივლიტას ეკლესიის შესახებ წიგნის პრეზენტაციაზე, ასევე თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკაშიც, 2007 წელს კი მომლოცველობას აწყობთ ხიზაბავრასა და არალში... თქვენ პვლავ აგრძელებთ კათოლიკობის შესახებ ყალბი ინფორმაციების ბეჭდვას: ერთი და იგივე სახეები, ერთი და იგივე ბუკლეტები, ერთი და იგივე მიზეზები, ერთი და იგივე ხელწერა... მინდა გულწრფელად გკითხოთ, რა გიბიძებთ ამგვარი საქციელისა და ამგვარი აზროვნებისაკენ, თუმცა პასუხს ისევ თქვენი ნაწერებიდან, ინტერვიუებიდან, შეხვედრებიდან ვიგებ; თითქოს მთელი სამყარო, მთელი ევროპა, ეკლესიების და ქრისტიანთა დაახლოებისათვის გამიზნული ყველა მოძრაობა, ყველა დანარჩენი ეკლესია, ყველა დანარჩენი ქრისტიანი “წყეული მასაა” (როგორც ავგუსტინე იტყოდა პელაგიუსთან პოლემიკაში) და რომ მარტოოდენ საქართველო, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია და ქართველი მართლმადიდებლები (ლამის მარტო თქვენი ჯგუფის წევრები) წარმოადგენენ “დახსნილ მასას”; ასე მგონია, თითქოს თქვენი მისია ხალხის დაშინება, ხალხის დისკრიმინაცია იყოს; ნუთუ ასე იოლი გეზენებათ იმის გარკვევა, თუ ვინ ცხონდება და ვინ არა? რას წარმოადგენს თქვენთვის ცხონება? თუკი დღეს მსოფლიო ურთულეს ფაზას გადის, იმ მიზეზიბის გამო, რასაც გაცილებით ღრმა ფესვები აქვს,

ვიდრე თქვენ მიანიშნებთ, რაც როდი ნიშნავს იმას, რომ უკელაფერი გახრწილი და შესაჩვენებელია. თუკი ევროპაში ქრისტიანობას უღალატეს და მიივიწყეს, თუკი ევროპის მრავალი ქალაქის ტაძარი დაცარიელებულია, რამდენი სხვა სალოცავი ადგილი აღმოცენდა ოჯახებისთვის, ახალგაზრდებისთვის, — იმათ დასანახად, ვინც ქრისტიანობის სიკვდილს წინასწარმეტყველებდა; ქრისტიანობა არ მომკვდარა ევროპაში, როგორც ეს თქვენს ნაწერებში იკითხება; დიახ, გვერდს უკლიან “ქრისტიანულ კულტურასთან” დაკავშირებულ ქრისტიანულ ფორმებს, რომლებმაც თავიანთი დრო მოჭამეს, მაგრამ საზოგადოებაში, პოლიტიკაში, კულტურაში, ოჯახში, ახალგაზრდებსა და ლარიბებს შორის ქრისტიანობის სხვადასხვა ფორმები იბადება უამრავი ქრისტიანი მორწმუნის მიერ გაღებული წვლილით, თუნდაც მასში არ იდოს იმათი წვლილი, ვინც მხოლოდ მონათლულობის გამო ასაღებს თავს ქრისტიანად; როგორც სახარებისეული იგავის პატარა თესლი, ისევე უნდა მოკვდეს ნაყოფის გამოსასხმელად. თქვენი “გმობა”, თქვენი ანათემები ვერ გადაარჩენს ვერც ქრისტიანობას “პაპიზმიდან”, ვერ ევროპას სეკულარიზმიდან, რელატივიზმიდან, ვერც მსოფლიოს დაიხსნის მასონობისაგან. თქვენს სტატიებში არ იგრძნობა სიყვარული, თანაგრძნობა, ურთიერთსაუბრის სურვილი, მასში მხოლოდ იკითხება პესიმიზმი, დამცირება, გაყოფა, მხოლოდ ნეგატიური მხარეების ძიება; თქვენს მოსაზრებებში ლამის პაპზე მეტ უცდომელობას ამჟღავნებთ, ასე რომ აკრიტიკებთ და გმობთ; თითქოსდა ამქვეყნად მხოლოდ თქვენებური ხედეა არსებობს; იმას იქით უკელაფერი არის ყალბი, სიცრუე; სინამდვილეში კი რამდენი სიყალბე, სიცრუე, ბანალურობა, ცალმხრივობა, უკიცობა გამოსჭვივის თქვენს ნაწერებში მათ მიმართ, ვინც თქვენსავით არ ფიქრობს! მარტო იმ უღირს და უსაფუძვლო ბრალდებაზე დაფიქრდით, რასაც თქვენ ავრცელებთ კათოლიკე ეკლესიის მიერ თითქოსდა პომოსექსუალთა ქორწინების კურთხვაზე, და თითქოს კათოლიკები თითქოს ცხოველებსაც, კერძოდ კი ძალებს, ვნათლავდეთ და ვაქორწინებდეთ; თუკი ევროპაში და მსოფლიოში კათოლიკე ეკლესიას აქილიკებენ და უტევენ, სწორედ ამ ფსევდოქორწინებების მიმართ თავისი მტკიცე პოზიციის გამო; საკმარისია მხოლოდ ამ ციტატის მოყვანა, რომ თქვენი მზაკვრობა, შური, თქვენი ეშმაკისეული აზრები გამოავლინოთ, რომელიც მხოლოდ გათიშვას, არეულობის შემოტანას ემსახურება როგორც საზოგადოებაში, ასევე ეკლესიაში; საინტერესოა, საიდან იღებთ თანხას იმისთვის, რასაც აკეთებთ? იქნებ ირიბი გზით სწორედ მათგან, ვისაც ებრძვით? იქნებ სინამდვილეში მათთან თამაშობთ, ვისაც ებრძვით? იმედს ვიტოვებ, რომ ამ ჯგუფის ეს ფანაგიზმი მალე ჩაივლის, თუმცადა, ჩვენდა სავალალოდ, არსებობს სხვა არანაკლებ საშიში ფანაგიზმი, არა დაჯგუფების სახით, და რომელიც უწუმრად იკიდებს ფეხს ჩვენს ქალაქებში, ჩვენს გზებზე, ჩვენს ოჯახებში, ეკლესიებში, ჩვენს აზროვნებაში, შეხედულებებში, სხვებთან და დმერთოან ურთიერთობაში, მორწმუნეთა თავისუფლების დამონების გზით, რელიგიის და ეროვნული იდეის იარაღად გამოყენებით, მნიშვნელოვანის დამახინჯებით, არაკანონიერი აქტების კანონიერად წარმოჩენით, როგორიც არის

კათოლიკური ტაძრების მითვისება სრულიად სასაცილო და ურთიერთგამომრიცხველი მოტივაციებით, საპატრიარქოს და სახელისუფლო წარმომადგენელთა დუმილი, საქართველოში რელიგიების და გალესიების იურიდიული ფორმით აუღიარებლობა, და დიახაც რომ, წმიდა ჯვრის არასწორი გამოყენების გზით, რომელიც ლამის საგზაო ნიშნად, ამ ეკლესიის (და არა ყველა ეკლესიის!) ერთადერთ მახასიათებლად ქცეულა; თქვენ ჩვენი ეპისკოპოსის გერბზე გამოსახული წმიდა ნინოს ჯვარიც დაგმეთ; მაშ, ჩვენც უნდა დავგმოთ რომის ეკლესიის წიაღში აღმოცენებული პალიოსტოლი გამოყენება რომისგან გათიშული აღმოსავლელი პატრიარქების მხრიდან; ისევ და ისევ გმობთ სულხან-საბა ორბელიანის სახელის გამოყენებას ქართველი კათოლიკების მოღვაწეობაში. მაშ, რადა თქვან ებრალებმა უამრავი ქრისტიანის, ქართველი მეფეების და თვით თქვენივე ასოციაციის მიერ დავითის სახელის გამოყენებაზე; სასაცილოდ მეჩვენება ასეთ რამეებზე წერა და ბოდიშს ვიხდი, რადგანაც მსოფლიოს, საზოგადოებას, ეკლესიას, გაჭირვებულებს, ახალგაზრდებს სულ სხვა სიტყვები, სხვაგვარი მოწმეობები სჭირდებათ, ასეთი ფანატიზმი, ცალმხრივი, სექტანტური აზროვნება ანუ აბდა-უბდა საუბარი, ამგვარი რწმენა ან გაწარმართება ერთი და სამსახოვანი ღმრთისა, სხვებთან ამგვარი დამოკიდებულება ან ბარიერების აღმართვა და ახალი ცეცხლის გაჩაღება, ახალ ჭირად მოედება საზოგადოებისა და ეკლესიის სხეულს. იესო შეგვაგონებს, რომ ის არის “გზა, ჰეშმარიტება და სიცოცხლე”, მაგრამ იგი ფანატიკოსი არ გახლდათ, მას არ სურდა, რომ მის მოწაფეები ფანატიკოსები ყოფილიყვნენ.

### პატივისცემით, მ. გაბრიელე ბრაგანტინი

#### კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

“რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია დიაა კათოლიკებთან თანამშრომლობისათვის”, დარწმუნებულია ალექსი მეორე

**მოსკოვი, 14 ივნისი.** “რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია დიაა რომის კათოლიკე ეკლესიასთან სათანამშრომლოდ და განზრახული აქვთ განავითაროს ურთიერთობა უკროპის კონტინენტზე”, – თქვა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა ალექსი მეორემ.

„ეს თანამშრომლობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია უკროპის კონტინენტზე, რომელსაც ღრმა ქრისტიანული ფესვები აქვს“, – აღნიშნა ალექსი მეორემ უკროპის ეპისკოპოსთა კონფერენციის საბჭოს პრეზიდენტის, უნგრეთში კათოლიკე ეკლესიის პრიმასის, კარდინალ პეტერ ერდესთან შეხვედრაზე მოსკოვში.

„სამწუხაროდ, ეს ქრისტიანული ფესვები ამჟამად დავიწყებულია და ფეხქვეშაა გათელილი“, – აღნიშნა პატრიარქმა. მისი სიტყვებით, სწორედ უკროპაში დღეს „მწვავედ შეიგრძნობა იმის მცდელობა, რომ საზოგადოებას თავს მოახვიონ აზროვნებისა და ცხოვრების სეგულარული ნიმუში და რელიგია გვერდზე გადადონ“.

პატრიარქი დარწმუნებულია, რომ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასა და რომის კათოლიკე ეკლესიას შორის თანამშრომლობა მდიდრდება თანამედროვეობის მრავალი აქტუალური საკითხის მიმართ პოზიციების თანხმედრით – ისეთებისა, როგორიცაა გლობალიზაცია, რელიგიის როლი საზოგადოებაში, პიროვნების ღირსება და უფლებები, ოჯახის ფასეულობები, დემოგრაფია, ბიოეთიკა. პატრიარქმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ უკვე არსებობს თანამშრომლობის უფექტური მაგალითები – ბრიუსელში, სტრასბურგში და გაეროში.

„ამასთან ერთად ჩვენთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ევროპის ეპისკოპოსთა კონფერენციის საბჭოსთან თანამშრომლობის გაგრძელება“, – დაუმატა ალექსი მეორემ.

პატრიარქმა იმედი გამოთქვა, რომ ევროპის ეპისკოპოსთა კონფერენციის საბჭოს დახმარებით მოახერხებს „გამოასწოროს ურთიერთობა“ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიასა და რუსეთის კათოლიკებს შორის, რომლებიც ამ საბჭოში მონაწილეობენ. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელმა, ასევე, მხარი დაუჭირა კარდინალ ერდეს ინიციატივას მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა ყოველწლიური ფორუმის ორგანიზების შესახებ.

სწორედ ამ ფორუმის პირველი შეხვედრის ორგანიზებისათვის, რომელიც გაიმართება 14-15 ივნისს მართლმადიდებლურ-კათოლიკური საღმრთოსმეტყველო კონსულტაციის ფორმით, კარდინალი ედრე იმყოფებოდა მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით, როგორც ევროპის ეპისკოპოსთა კონფერენციის საბჭოს პრეზიდენტი. ეს კონსულტაციები გაიმართა შემდეგ თემაზე: „საზოგადოების წყობაზე, ადამიანის უფლებებზე და პიროვნების დირსებაზე დაფუძნებული საეკლესიო სწავლების ანთროპოლოგიური და ეთიკური საფუძვლები“, რომელსაც ორგანიზება გაუკეთეს მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირის განყოფილებამ, პაპის საბჭომ „სამართლიანობა და მსოფლიო“ და სარწუნოების მოძღვრების კონგრეგაციამ.

#### კათოლიკე ეკლესია საქართველოში

**“მე ვარ ნათელი სოფლისა, რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდეს ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხოვრებისა”**

**“საქართველოს კარიტასმა” ბავშვთა და ხანდაზმულთა პროექტების ბენეფიციართა გულშემატკივარს საზეიმო ღონისძიება მოუწყო**

2007 წლის 5 ივნისს, საქველმოქმედო ფონდ „საქართველოს კარიტასის“ ბავშვთა კომპლექსის ტერიტორიაზე, თბილისში ჩატარდა ამიერკავკასიაში ვატიკანის ელჩის, მთავარეპისკოპოს კლავდიო გუჯეროტის მღვდლად ხელდასმის 25 წლის თავთან დაკავშირებული საიუბილეო საზეიმო ღონისძიება. ღონისძიებას დაესწრენ კარიტასის საპრეზიდენტო საბჭოს წევრები, სხვადასხვა პროექტების თანამშრომლები და ბენეფიციარები. ღონისძიებას აგრეთვე დაესწრენ სტუმრები: სომხური

სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლები, ლაგოდების მართლმადიდებლური ეპარქიის ნეკრეს-ჰერეთის მიტროპოლიტი მეუფე სერგი ჩეგურიშვილი და მხატვარ-ხატმწერი ბ-ნი ამირან გოგლიძე. ლონისძიება გახსნა “საქართველოს კარიტასის” პრეზიდენტმა, ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ. მთავარეპისკოპოსს იუბილე მიულოცა თამუნა შარაშიძემ (ბავშთა კომპლექსის მენეჯერი) და “კარიტასის” ყველა თანამშრომლის სახელით მონს. კლავდიო გუჯეროგს გადასცა საჩუქარი – ეს იყო ბ-ნ ამირან გოგლიძეს მიერ შესრულებული ჯვარი, წარწერით ძველ ქართულ ენაზე ძაცხოვრის სიტყვები – “მე ვარ ნათელი სოფლისა, რომელი შემომიღებეს მე, არა ვიდოდეს ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხოვრებისა”.

მეუფე სერგიმ იუბილარს გადასცა წმ. ნიკოლოზის ხატი და დაუმატა: ”ჩვენს ეკლესიებს შორის არის თანამშრომლობა, მეგობრული ურთიერთობა, მაგრამ არის პრობლემებიც. წმ. ნიკოლოზი ცნობილია, როგორც შემრიგებელი და პრობლემების მომხსნელი. დაე, ეს საჩუქარი ყოფილიყოს ჩვენი პრობლემების მოგვარების საწინდარი.

გულისამაჩუყებელი მადლობის სიტყვებით გამოვიდა თვით მონს. კლავდიო გუჯეროგი, რომელმაც სხვა ლამაზ სიტყვებითან ერთად თქვა: “მე ვარ ერთადერთი შვილი ჩემი მშობლებისა, მშობლები კი ხანდაზმულნი და შორს არიან ჩემგან. ამჟამად თქვენ ხართ ჩემი ოჯახი”...

ზემოს დასასრულს, იუბილარს მადლობის სიტყვებით მიმართა “საქართველოს კარიტასის” გენერალურმა დირექტორმა მამა ვიტოლდ შულჩინსკიმ.

### “საქართველოს კარიტასი”

## ქუთაისის კათოლიკეთა ტაძრის აგების ისტორიიდან

საქართველოში ქუთაისის კათოლიკე ქრისტიანთა საზოგადოება უკვე მერამდენედ ითხოვს სამართლიანობის აღდგენას და მათი კანონიერად კუთვნილი ღმრთისმშობლის უმანკოდ ჩასახების ტაძრის დაბრუნებას. ეს წერილიც ერთ-ერთი მცდელობაა, რათა საქართველოში მცხოვრებმა მოქალაქეებმა, კომპეტენტურმა პირებმა და ორგანიზაციებმა დაინახონ და გაიგონ სიმართლე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ უკანონოდ წართმეული და მითვისებული, ზემოთ ხსენებული ტაძრის შესახებ.

ამ მიზნით მოგაწვდით საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში შენახულ რამდენიმე ხელნაწერის შინაარს:

ცენტრალური საისტორიო არქივი ფონდი №2. არქივი №1. შესანახი ერთეული №5342. მიმოწერა იმერეთის მმართველის ნებართვაზე, ქ-ქუთაისში კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის დამთავრებისათვის,

რუსეთში და პოლონეთის სამეფოში შემოწირულობების ასაკრებად.  
23. 11. 1838. წ. – 06.07.1840.წ.

1. ხელნაწერი (არის ქადალდის ფურცელი. 2 გვ. რომელზეც  
რუსულად წერია):

23. 11. 1838(8) საქართველოს მთავარმართებელს ბატონ გენერალ  
ლეიტენანტს და კავალერს გოლოვანოვ 1-ს. იმერეთის მმართველის  
გენერალური შტაბის გენერალ მაიორის (ესპერ 1-ის) რაპორტი. ქ.  
ქუთაისში მცხოვრებ დარიბ კათოლიკებს არ აქვთ საშუალება  
დაამთავრონ დამრთის ტაძრის მშენებლობა, ამიტომ გთხოვთ  
ნებართვას რუსეთში და პოლონეთის სამეფოში შევაგროვოთ  
შემოწირულობები მშენებლობის დასამთავრებლად. გენერალ მაიორი  
ესპერ 1. 15. 01. 1838. ქ. ქუთაისი.

2. ხელნაწერი (არის ქადალდის ფურცელი. 3 გვ. რომელზეც  
რუსულად წერია):

15. 11. 1838 წ. მის აღმატებულებას! იმერეთის მმართველს,  
გენერალური შტაბის გენერალ მაიორს და კავალერს, აკიდ  
მიხეილის - ძე ესპერ-1 ს.

ქ. ქუთაისის რომის კათოლიკური ეკლესიის სასულიერო  
საზოგადოების თხოვნა. ქ. ქუთაისი იტევს საკმაოდ მნიშვნელოვან  
კათოლიკურ საზოგადოებას. მაგრამ მხოლოდ ერთი პატარა ხის  
ეკლესია აქვთ დამრთისმსახურებისათვის, წასაქცევად გადახრილი,  
აშენებული ჯერ კიდევ იმერეთის მეფების დროს. 1826 წ.  
მმართველობის ნებართვით უნდოდათ შემოწირულობებით აეშენებინათ  
ამ ადგილზე ქვის კათოლიკური ეკლესია. იმ წელს დაიწყეს  
მშენებლობა, ჩააწყვეს ბალავარი, მაგრამ უსახსრობის გამო  
კედლები მხოლოდ ნახევრად ააშენეს. თუმცა ადგილობრივ კათოლიკე  
საზოგადოებას მთელი მზადებლით მოჰქონდათ შემოწირულობა  
დამრთის ტაძრის ასაგებად. მაგრამ მრევლის წევრთა სიდარიბის  
გამო მნიშვნელოვანი შემოწირულობა ვერ შეგროვდა. რაც  
შეგროვდა დაიხარჯა ხის და ქვის მასალის მშენებლობისთვის  
დასამზადებლად და უსახსრობის გამო მშენებლობა შეჩერდა. ჩვენს  
შორის უფროსმა (მდვდელმონაზონმა) იერობერმა ფრანჩიშკომ  
თავიდანვე დაინახა ფულის და მისი მოპოვების წყაროს საგრძნობი  
უკმარისობა. ამ წლის 19 ივნისს, ეს მდგომარეობა საქართველოს  
მმართველს გააცნო და რეკომენდაცია სთხოვა ხელმწიფე  
იმპერატორის წინაშე ფულადი დახმარებისთვის ამ კათოლიკური  
ეკლესიის ასაშენებლად.

ეს თხოვნა ევგენი ალექსანდრეს - ძემ მიიღო კეთლი გაწნევობით  
ვბედავთ ისევ რუსეთის იმპერიაში ადრეც მომხდარ მაგალითზე  
ვითხოვთ მორჩილად შუამდგომლობა, საქართველოს  
მმართველისადმი, ნებართვისათვის, რათა გამოვაცხადოთ მთელს  
რუსეთში და პოლონეთის სამეფოში ქრისტიანებს შორის კეთილი  
სურვილით შემოწირონ შემოწირულობანი და თუ მმართველობა

კეთილ ინებებს მიიღოს ჩვენი თხოვნა, მაშინ გთხოვთ ადგილობრივ კათოლიკურ ეპლესიას მოგვცეთ ზონარიანი წიგნი, სადაც ჩაიწერება შემოწირულობანი შემომწირველთა სახელებით. შემოწირულობანი გვიქრობდით აეკრიბა გუბერნიების ადგილობრივ უფროსობას და გამოეგზავნათ აქაური ადგილობრივი უფროსებისთვის. ჩვენი საზოგადოებიდან ავირჩიოთ 3 სარწმუნო პიროვნება 1 (ტიტორომ) ტიტორად და 2 საზინდარად (2 ხელმოწერა არარუსულია. ქართულად ხელს აწერს ანტონ თუმანოვი). 12. 11. 1838. ჭ. ქ. ქუთაისი.

3. ხელნაწერი (არის ქადალდის ფურცელი. 5. გვ. რომელზეც რუსულად წერია).

**მოწმობა.** ქვემოთ ხელისმომწერები ვამოწმებთ, რომ ქ. ქუთაისში არის საქაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობის კათოლიკების საზოგადოება. მაგრამ მხოლოდ ერთი პატარა ხის კალესია აქვთ დმრთისმსახურებისათვის (აქ გამეორებულია იგივე ისტორია და თხოვნა შემოწირულობების შეგროვების შესახებ)

ვამოწმებთ და ხელს ვაწერთ: იმერეთში, ქ. ქუთაისში. 12. 11. 1832. ჭ. (ხელმოწერები სხვადასხვა ენაზე არის შესრულებული). პოლკოვნიკი გრიგორი წერეთელი, პრაპორშიკი სტეფან აკოფოვი, პრაპორშიკი ანტონ ყაუხელვი, პრაპორშიკი იაკობ ასათიანოვი, თომა აკოფოვი, აზნაური ივანე ტინტინიოვი, აზნაური იოსეფ ჩორგავი, პეტრე მეფისოვი, სოფრონიოს იმერეთის მთავარეპისკოპოსი.

4. ხელნაწერი (არის ქადალდის ფურცელი. 2 გვ. რომელზეც რუსულად წერია).

14. 12. 1836. მოწყალეო ხელმწიფე დიმიტრი ნიკოლოზის - ძე! იმერეთის მართველი გენერალ მაიორ ესპერებ ჩვენი, ქუთაისის რომაულ კათოლიკური საზოგადოების თხოვნით წარმომიდგინა მე ნებართვა, რომ ამ სასულიეროებმა გახსნან ხელმოწერა სრულიად რუსეთში და პოლონეთის სამეფოში ქრისტიანებს შორის შემოწირულობების შეკრებისათვის, ქუთაისში ქვის კათოლიკური ეკლესიის დაწყებული მშენებლობის დასამთავრებლად (აქ მოთხოვდით ის ისტორია, რასაც ქუთაისელი კათოლიკები ქალაქის მმართველს ატყობინებენ) გთხოვთ, იშუამდგომლოთ უმაღლესი ნებართვა, რომ ამ სასულიეროებმა გახსნან ხელმოწერა სრულიად რუსეთში და პოლონეთის სამეფოში ქრისტიანებს შორის შემოწირულობების შეკრებისათვის, ქუთაისში ქვის კათოლიკური ეკლესიის დაწყებული მშენებლობის დასამთავრებლად. მთავარმართველი გენერალ ლეიტენანტი გოლოვინ 1.

5. ხელნაწერი (არის ქადალდის ფურცელი. 3 გვ. რომელზეც რუსულად წერია).

მიღებულია 19.02.1840. სამხედრო გუბერნატორს ბრაიკოს, იმერეთის მმართველის, ესპერე 1-ის რაპორტი. შეკითხვაზე, იყო თუ არა

კანონიერი მშენებლობის დაწყება გაცნობებთ, რომ ქალაქის კომუნდანტმა ვერ წარმოგვიდგინა საბუთი ვისი ნებართვით დაიწყო ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის მშენებლობა, კათოლიკური აღმსარებლობის ძველი მაცხოვრებლები ამტკიცებენ, რომ მშენებლობის დაწყებას დაესწრებ იმერეთის მართველი პოლკოვნიკი თავადი ბებუთოვი და იმერეთის მთავარეპისკოპოსი სოფრონი. თუმცა არ იყო დაცული წესი მშენებლობის დაწყების დროს, მაგრამ ვითვალისწინებ, რომ ქუთაისში ცხოვრობს მნიშვნელოვანი რაოდენობის რომაულ კათოლიკური აღმსარებლობის საზოგადოება, რომელთაც აქვთ პატარა ხის ეკლესია, რომელიც გადაქანებულია წასაქცევად და არ აკმაყოფილებთ. გთხოვთ გასცეთ განკარგულება ნებართვის შესახებ. 13.02.1840. წ.

აქვე არის მიხაილ ბრაიკოს პასუხიც, რომელიც წერს:

6. ხელნაწერი (არის ქადაღდის ფურცელი. 3 გვ. რომელზეც რუსულად წერია).

05. 03. 1840. წ. თქვენო მაღალ ბრწყინვალება მოწყალეო მწყემსმთავარო!

იმერეთის გუბერნატორმა ქუთაისის კათოლიკური საზოგადოების თხოვნით, მისწერა მთავარმართველს რუსეთში და პოლონეთის სამეფოში ქრისტიანებს შორის შემოწირულობის აკრეფის ნებართვის შესახებ. ქუთაისში ცხოვრობს მნიშვნელოვანი რაოდენობის რომაულ კათოლიკური აღმსარებლობის საზოგადოება, რომელთაც აქვთ პატარა ხის ეკლესია აშენებული იმერეთის მეფეების დროს, რომელიც გადაქანებულია წასაქცევად და არ აკმაყოფილებთ. დაახლოებით 12 წლის წინ, უცნობია ვისი ნებართვით, დაიწყეს ტაძრის მშენებლობა. ჩაწყვეს ბალავერი მაგრამ უსახსრობის გამო კედლები ააშენეს მხოლოდ ნახევრად. თუმცა ადგილობრივ კათოლიკურ საზოგადოებას მთელი მზადეოფნით მოჰქონდათ შემოწირულობა ღმერთის ტაძრის ასაგებად. მაგრამ წევრთა სიდარიბის გამო მნიშვნელოვანი შემოწირულობა ვერ შეგროვდა. რაც შეგროვდა დაიხარჯა ხის და ქვის მასალის დასამზადებლად მშენებლობისთვის და უსახსრობის გამო მშენებლობა შეჩერდა. მას შესახებ ეცნობა მთავარმართველს, ასევე შ.ს.ს. მივიღეთ პასუხი. თუ არ შეხვდება ბერძნულ რუსულ ეპარქიალურ ეკლესიის წინააღმდეგობას, მაშინ მიიჩნევს დასაშვებად როგორც შემოწირულობის ნებართვას ასევე ტაძრის დაწყებული მშენებლობის დამთავრებას. მიხაილ ბრაიკო.

7. ხელნაწერი (არის ქადაღდის ფურცელი. 2 გვ. რომელზეც რუსულად წერია).

მიღებულია 03. 06. 1840 წ. თქვენო აღმატებულება. მოწყალეო ხელმწიფე!

ქუთაისის კათოლიკური ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებით საჭირო იყო იმერეთის უწმიდესი მთავარეპისკოფოზის სოფრონიას

ცნობა, რომელმაც გვაცნობა, რომ ქუთაისის კათოლიკური ტაძრის დაწყებული მშენებლობა მდებარეობს უახლოესი ჩვენი საბერძნეთის - იმერეთის - რუსეთის ეპლესიიდან დაახლოებით 120 საჯენით, (ახლაც არის საქართველოს მართლმადიდებელი ეპლესის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი, დაშორებული 120 საჯენით კათოლიკეთა ყოფილი ტაძრიდან, რომელიც მართლმადიდებელმა წართვეს და უწოდებენ ხარების ეპლესიას - თ.ბ.) და რომ მისი მშენებლობა დაიწყო 1836 წ. აწ გარდაცვლილი საქართველოში კათოლიკეთა უფროსის პატრი ფილიპის მიერ. მაქვს პატივი შევაჯამო, რომ ქუთაისის რომის კათოლიკური ტაძრის მშენებლობის დამთავრებას ეპარქიულ ბერძნულ-რუსული უფროსობის მხრიდან წინააღმდეგობა არ აქვს.

8. ხელნაწერი (არის ქაღალდის ფურცელი. 3 გვ. რომელზეც რუსულად წერია).

(?) 06. 1840. იმერეთის მართველს. შ. ს. ს. მართველმა 26. 05.1 839 აცნობა თბილისის გუბერნატორს, რომ შეკრებილ ცნობებში თუ არ შეხვდება ეპარქიალურ ბერძნულ - რუსული უფროსების მხრიდან ქუთაისის ქვის ლათინური ეპლესიის დაწყებული მშენებლობის დამთავრების წინააღმდეგობას, მაშინ მისი ბრწყინვალება შესაძლებლად დაუშვებს როგორც მშენებლობას, ასევე შემიწირულობის შეგროვებას რუსეთში ამ საქმისთვის, მხოლოდ ქუთაისის საზოგადოებამ მიმართოს მთავარ რომის - კათოლიკე სასულიერო უფროსობას იმპერიაში და თხოვოს განკარგულება ასეთი შეგროვების რიგისამებრ. რაც შეეხება შემოწირულობის შეგროვებას პოლონეთის სამეფოში ამ საკითხის განხილვა ეკუთვნის პოლონეთის სამეფოს განსაკუთრებულ სამართველოს. ახლახანს საქართველოს ეგზარქოსმა შემატებინა, რომ ეპარქიალურ ბერძნულ - რუსული უფროსების მხრიდან ქუთაისის ქვის ლათინური ეპლესიის დაწყებული მშენებლობის დამთავრებას წინააღმდეგობა არ აქვს. ამის შესახებ გაცნობებთ, რომ გამოუცხადოთ ქუთაისის კათოლიკეთა საზოგადოებას, შემოწირულობის შესაგროვბლად მიმართონ მთავარ რომის - კათოლიკე სასულიერო უფროსობას იმპერიაში და თხოვოს ასეთი შეგროვების განკარგულება რიგისამებრ. მთავარმართებელი გენერალ გოლოვინი.

არის კიდევ ერთი დამოწმება გენერალ გოლოვინისა:

9. ხელნაწერი (არის ქაღალდის ფურცელი. 2 გვ. რომელზეც რუსულად წერია).

06.07.1840. პასუხი. №1240. შემოწირულობის შეგროვებისთვის ხელმოწერაზე ქუთაისის რ.კ. ეპლესიის დამთავრებისთვის. მოწყალეო ხელმწიფე გრაფ ალექსანდრ გრიგორის - ძე! თვენი ბრწყინვალების 26.05.1839. დამოკიდებულებიდან ხელმოწერის გახსნაზე შემოწირულობის შეგროვებისთვის ქუთაისის რომის -

კათოლიკე ქვის გადასის დაწყებული მშენებლობის დასამთავრებლად, შეიკრიბა ცნობები იმერეთის მართველისგან და საქართველოს ეგზარხოზისგან. გამოძიებისას გენერალ მაიორმა ესპერომ გვაცნობა, რომ ამ მშენებლობის შესახებ არ აღმოჩნდა ნებართვა, მაგრამ ძველი კათოლიკები ამოწმებენ, რომ ამ ეკლესიის ბალავარის ჩაწყობას ესწრებოდნენ იმერეთის მართველი პოლკოვნიკი თავადი ბებუთოვი და იმერეთის მთავარეპისკოპოსი სოფრონი. საქართველოს ეგზარხოზმა მთავარეპისკოპოსმა ევგენიმ გვაცნობა, რომ ეპარქიალურ ბერძნულ-რუსული უფროსების მხრიდან ქუთაისის ქვის ლათინური ეკლესიის დაწყებული მშენებლობის დამთავრებას წინააღმდეგობა არ აქვს. ამიტომ აუცილებლად მიმაჩნია დამთავრდეს დაწყებული მშენებლობა. ევგენი გოლოვინი.

ეს საბუთები კიდევ ერთხელ ამტკიცებენ, რომ ტაძარი გეუთვნის ქუთაისის კათოლიკე ქრისტიანულ ეკლესიას და არა მართლმადიდებელ ქრისტიანულ ეკლესიას.

გთხოვთ გამოგეხმაუროთ და დაგვეხმაროთ სამართლიანობის აღდგენაშო.

### თამაზ ბუცხრიკიძე

## წმ. დონ გასპარეს სულიერი მემკვიდრე

12 ივნისი – წმ. გასპარე ბერტონის, სტიგმელთა ორდენის დამაარსებლის, მოხსენიების დღე

ადამიანის გულის სიღრმეში ცნობიერად თუ შეუცნობლად არის სურვილი წმიდანობისა. პირველი ქრისტიანები ერთმანეთს წმიდანებს ეძახდნენ იმ შეგნებით, რომ წმიდანია ის, ვინც ცდილობს მთელი არსებით გახდეს ჭეშმარიტი ქრისტიანი, “რათა იყვნენ ჭეშმარიტი სრულქმნილი”.

გასპარე ბერტონის ცხოვრების კითხვისას, ამ პიროვნებით დატყვევებულნი ვრჩებით. ეს არ არის წმიდანი, ვინც არაჩვეულებრივი საქმეები ჩაიდინა, არამედ რიგითი მდვდელმსახურია, რომელმაც ჩვეულებრივი ცხოვრებით იცხოვრა „არაჩვეულებრივად“ ე. ი. წმიდანად.

სწორედ წმიდა გასპარე ბერტონის დღესასწაუზე, 2007 წლის 10 ივნისს, ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიას, დასავლეთ საქართველოს ლათინური წესის კათოლიკეთა წინამდვრის, მამა გაბრიელე ბრაგანტინის თავკაცობით მოწევული ჰყავდა წმიდა საყდრის დესპანი, მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი, რომელსაც ხელდასხმიდან 25 წელი შეუსრულდა. მთავარეპისკოპოსმა ყავილებით მორთულ და მორწმუნებით სავსე ეკლესიაში საზემო წირვა ადავლინა. წირვას ესწრებოდნენ: ამიერკავკასიის სამოციქული აღმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, მამა ნინო მარტინი, მამა პავლე დილი, მამა ზიგმუნდ ნეკვეზი, მამა აკაკი ჭელიძე, მამა ვიტოლდ შულჩინსკი, მამა ივერ შიმეროვსკი, მამა ზურაბ კაკაჩიშვილი, ავსტრიელი სტუმარი, მამა

სტეფანე, მამა კონსტანტინე, სტუმრები ბავშვათა ცენტრიდან, მონაზვნები: ლორედანა, ანა მარია და უზეფინა.

წირვის შემდგ, ბავშვთა ცენტრის დირექტორის, ბატონ ლევან ბეგიშვილის ინიციატივით ჩატარდა დიდი კონცერტი. პოეტმა დოლო ნებიერიძემ საკუთარი ლექსი უძღვნა მთავარეპისკოპოს კლავიტორიზმის და საკუთარი წიგნიც უსახსოვრა. მრევლის წევრებმა კი მას უვავილები გადასცეს.

გასპარე ბრეტონი ჭეშმარიტად სულქმნილი წმიდანია. მისი ცხოვრების კითხვისას ხორცი შეესხმის სახარებას, ამიტომაც შერაცხა პაპმა პავლე VI-მ 1975 წელს ნეტარად. 1989 წელს კი – იოვანე პავლე II-მ წმიდანად აღიარა.

წმ. გასპარე ბერტონის ხსენების დღე და წმიდა საყდრის დესპანის, მთავარეპისკოპოს კლავიტორიზმის 25 წლის იუბილე მალას შემატებს ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის მრევლს და იმ მოვალეობას შეგვაგრძნობინებს, რასაც დონ გასპარეს სულიერი მემკვიდრენი, სტიმატინები თავიანთ ეპარქიებსა და მთელს სამყაროში წარმატებით ახორციელებენ.

#### დოდო ნებიერიძე-გაბრიჩიძე

### კატეხეზები მომავალ საოჯახო წყვილთათვის

წმ. პატრიქესა და წმ. პავლეს ეკლესია დიდ ყურადღებას უთმობს ოჯახურ წყვილებს, განსაკუთრებით მათ, რომელთაც ახალი ოჯახის შექმნა სურთ. თავის აღმზრდელობით საქმიანობაში ეკლესია ცდილობს გამოიყენოს ყველა შესაფერისი საშუალება. პირველ რიგში, ის ზრუნავს წყვილების კატეხიზაციაზე.

უკვე ტრადიციად იქცა, რომ ეკლესიაში წელიწადში ორჯერ ტარდება კატეხეზები ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდა წყვილებისათვის და მათთვის, ვინც უკვე დაოჯახებულია, მაგრამ კრიზისში იმყოფებიან. ცოლქმრული მოვალეობების შესასრულებლად, წყვილების წინაშე ყველა დროში დგებოდა სერიოზული პრობლემები. საზოგადოებაში განხორციელებულმა ეპოლუციურმა პროცესებმა წყვილთა ურთიერთობებში მრავალი ცვლილებები გამოიწვია, რომლის იგნორირება ეკლესიას არ შეუძლია.

ამჯერადაც ჩატარდა მორიგი ორთვიანი კატეხეზები, რომელსაც ეკლესის წინამდგვარი ადამ ოხალი ხელმძღვანელობდა. მას ეხმარებოდნენ კატეხისტები: ბერნადეტ და მაიკლ შერები, ირენა კესკიული და ვიტოლდას ბაგდონაიტისი. კატეხეზები ძალიან საგულისხმო პროგრამით მიმდინარეობს, ტარდება უბრალო, ყველასათვის გასაგები ენით და, რაც მთავარია, ძალიან სასარგებლოა არა მარტო ახალგაზრდა, არამედ ყველა ასაკის წყვილებისათვის.

კატეხისტები ხელმძღვანელობენ ისეთი ლიტერატურით, როგორიცაა „საეკლესიო სწავლებიდან – ცხოვრების გადაცემის შესახებ“, რომელიც ეხმარება მსმენელებს შექმნას ქრისტიანული ოჯახები და იცხოვონ ღმრთის სიყვარულში.

## ნადია ჩიტაძე

### პირველი ზიარება მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარში

10 ივნისი დამაზი და შესანიშნავი დღე იყო მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძრის მრეგლისათვის. მისმა უგელაზე პატარა წევრებმა პირველი ზიარება მიიღეს.

ნინო ცხომელიძე, მარი აფრიამაშვილი და ლოლიტა ოგანეზოვა პირველი აღსარებისა და ზიარებისათვის მოამზადეს და მაქსიმილიანამ და მამა ანდრეიმ, რის გამოც გოგონები მათი სამუდამო მადლიერები დარჩებიან და მათგან მიღებული ცოდნა შემდგომში მათი განათლების მყარი საძირკველი იქნება. პატარები ორმაგად ბედნიერები იყვნენ, რადგან პირველი ზიარება ჩვენი ეპისკოპოსის, მამა ჯუზეპე პაზოტოს ხელით მიიღეს. ეს კი იმის საწინდარია, რომ ისინი ქრისტეს ნამდვილი მოწაფეები გახდებიან.

იმ დღეს მირონცხების საეკლესიო საიდუმლოც ჩატარდა საკათედრო ტაძარში. მრევლის მოხრდილ წევრებს, ჟანა მხითაროვას და ლერი აფრიამაშვილს მირონი სცხო ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ. გვინდა, მრევლის სახელით, მათაც ვუსურვოთ, რომ მთელი მათი დარჩენილი ცხოვრება სული წმიდის ნიშნით წარმართულიყოს.

წირვის შემდეგ, ტაძრის სამწყსო საბჭომ ამ ორი ღირსშესანიშნავი მოვლენის აღსანიშნავად პატარა წვეულება გამართა, სადაც მრევლის წევრებს საშუალება მიეცათ, საზეიმო ვითარებაში უფრო ახლოს გასცნობოდნენ ერთმანეთს, ესაუბრათ, ჩაი და ყავა მიერთვათ და კიდვე ერთხელ მიელოცათ იმ ადამიანებისათვის, რომელთაც ამ დღეს დიდი ბედნიერება ეწვიათ.

## ნატა ბიგვავა

### გორელი კათოლიკების დიდი დანაკარგი

მე-19 საუკუნეში, ქართველი კათოლიკების შემოწირულობებითა და უშუალო მონაწილეობით აიგო ახალი კათოლიკური ტაძრის შენობა, თუმცა, ჯერ კიდევ 1628 წლიდან აქ მცირე სამლოცველო ფუნქციონირებდა, რომელშიც წმ. ნინოს სახელზე პირველი წმ. წირვა აღავლინა მოძღვარმა დონ პიეტრო ავიტაბილემ. ამავე სამლოცველოში იქნა დაკრძალული მისიონერი დონ ჯაკომო დი სტეფანო (1633 წ.).

მე-20 საუკუნის დასაწყისში გორის კათოლიკურ ეკლესიაში მოძღვრად მსახურობდა დომინიკე მუდაშაშვილი-პატაძე, ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და სამშობლოს დიდი პატრიოტი. იგი ვერაგულად მოკლეს საქართველოსა და ქრისტიანობის მტრებმა და ტაძრის ეზოში იქნა დაკრძალული.

მამა დომინიკეს შემდეგ გორის ეკლესიაში მოღვაწეობა განაგრძო მამა კონსტანტინე საფარიშვილმა, რომელიც რელიგიური და

პატრიოტული მოღვაწეობისათვის საბჭოთა ხელისუფლების მიერ იქნა დაპატიმრებული.

მე-20 საუკუნის 30-იან წლებში, ქალაქის აღმასკომის გადაწყვეტილებით, ტაძარი დაიკატა. აქედან მოყოლებული გორელი კათოლიკე მორწმუნები აქტიურად ითხოვდნენ ტაძრის დაბრუნებას, მაგრამ 1988 წელს „ფრანგების“ (ასე ეძახდნენ კათოლიკურ ტაძარს შიდა ქართლში) ეკლესია მართლმადიდებლურ საზოგადოებას გადაუცა. გორელ კათოლიკებს სხვა რადა დარჩენოდათ თუ არა მორიგეობით ერთმანეთის ბინებში შეკრება და თბილისიდან ჩამოსულ მოძღვრებთან ერთად წმ. წირვის აღსრულება.

შემოწირულობების დახმარებით დაიწყო სამლოცველოსა და სამრევლო სახლის მშენებლობა, რომელიც 2000 წლის ბოლოსათვის დასრულდა. სამლოცველო სახლი წმ. ოჯახის სახელზე ეკურთხა და პირველი წირვა აღავლინა წმ. საყდრის დესპანმა საქართველოში, მთავარეპისკოპოსმა პეტერ ცურბრიგენმა.

გორელი კათოლიკებისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეების კათოლიკთა შემოწირულობებით აგებული შესანიშნავი ტაძრის, რომელსაც მართლმადიდებელი მრევლიც კი დღემდე „ფრანგების“ ეკლესიას უწოდებს, შიდა ნაწილი მართლმადიდებლებმა 2003-2005 წლებში სრულიად დაანგრიეს (ძალიან რბილად რომ ვთქვათ!): აფხიკეს და წარხოცეს საუკუნოვანი ქრისტიანული ფრესკები და ახლებით შეცვალეს, დაანგრიეს ყველაფერი, რაც კათოლიკური ეკლესიის არქიტექტურისთვისაა დამახასიათებელი; შეცვალეს ტაძრის ეზოც: ცნობილი ქართველის, ღომინიკე მუღაშაშვილი-პაწაძის საფლავზე (რომლის შვილობაზეც არც ერთი დიდი ერი არ იტყოდა უარს!) სავაჭრო ჯიხური დადგეს; ამოთხარეს ეზოში დაკრძალული ცნობილი ქართველი კათოლიკებისა და მისიონერების საფლავები და ქვები გზის მეორე მხარეს გადაეყარეს. უცვლელი დარჩა მხოლოდ გუბათი, რომლის მონგრევა ვეღარ მოახერხეს. ყოველივე ამის შესახებ ჩვენ წერილობით შევატყობინეთ ძეგლთა დაცვის სამინისტროს და სხვადასხვა სამტავრობო უწყებებს, მაგრამ ჩვენი ხმა დარჩა „ხმად მდაღადებლისა უდაბნოსა შინა“ (მათე 3, 3).

მინდა მივმართო პარლამენტის იმ დეპუტატებს, რომლებმაც სამართლიანად აიმაღლეს ხმა აჭარაში მშენებარე ეკლესიის ახლადამოყვანილი კედლების დანგრევის გამო, ნუთუ მათ არ აღელვებთ საქართველოს დანახენი მოქალაქეების (თუ გვთვლიან თავიანთ მოქალაქეებად განსხვავებული რწმენის გამო) ბედი, მათი დანგრეული, თუ წართმეული ეკლესიების გამო? მათი პროტესტი სამართლიანი იქნებოდა თუკი ისინი ყველა ადამიანის მრწამსისა და სინდისის თავისუფლების, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და უსამართლობის წინაშე იბრძოლებდნენ. ჩვენ, ქართველი კათოლიკები, იმედს ვიტოვებთ, რომ საქართველოში კვლავაც გამოჩნდებიან ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვა გამოჩენილი ქართველების მსგავსი პიროვნებები, რომლებიც ყველა ქართველის სატკივარს, იქნება ეს კათოლიკე, მუსლიმი თუ გრიგორიანი, საკუთარი გულის ტკივილად აღიქვამენ და მხოლოდ მართლმადიდებელ

ქართველებს არ მიანიჭებენ პრიორიტეტებს, რადგან ჩვენ ყველანი ერთნი გართ უფალ იესო ქრისტეში.

მაია ხმიადაშვილი

## საკრებულოები მრავლდება

შრომის საკრებულოსათვის მაისი საიუბილეო და განსაკუთრებული თვეა, რადგანაც 10 წელი შესრულდა მისი დაარსებიდან.

სამწუხაროდ, წმ. წირვები მღვდლების სიმცირის გამო ყოველ კვირას არ ტარდება. კარგი იქნებოდა, რომ ღმრთისმსახურება ყოველ დღე თუ არა ყოველ კვირას მაინც აღსრულებულიყო. ჯერჯერობით კი ჩვენს საკრებულოში ყოველ მეორე ორშაბათს წირვას ატარებს მამა გაბრიელე ბრაგანცინი. ამ საიუბილეო წელს ჩვენ ხელცარიელი არ შევხვედრივართ, ათი წლის განმავლობაში მრავალი მორწმუნე ეზიარა აღსარების საიდუმლოს და პირველი ზიარებაც მიიღო, ბევრმა წევილმა დაიწერა ჯვარი, და კიდევ უფრო ბევრი მოინათლა, შესრულდა მირონცხების საიდუმლო.

შრომის საკრებულო თანდათან იზრდება, ემატება მორწმუნები, ამიტომ უკვე სამი წელია რაც სოფლის მეორე მხარეს – ვაკეში მეორე საკრებულო დაარსდა.

14 მაისს კი სოფელ თხინვალში პირველად ჩატარდა წმიდა წირვა, რომელიც მამა კარლომ აღასრულა. თხინვალის საკრებულოს დაარსებაში დიდი წვლილი მიუძღვის ანტონ ხითაროვს, რომელსაც თავი არ დაუზოგავს თანამომქმეთათვის, რეგულარულად მიღიოდა სოფელში და კატებიზაციებს ატარებდა. ბატონი ანტონი ყველაფერს დიდი სიყვარულით ასრულებდა და შედეგმაც არ დააყოვნა – გაიხსნა ახალი საკრებულო. იმედი გვაქვს ამიერიდან სოფელ თხინვალშიც ხშირად ჩატარდება წმ. წირვები, გაიზრდება რწმენა და მრევლი.

ნათია ხითარიანი

## პირველი ზიარება ყმაწვილებისათვის

ახალხიზის საკრებულოსათვის ამა წლის 17 ივნისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გამორჩეული დღე იყო. ორმა ყმაწვილმა საკრებულოდან, ვალერი ხუციშვილმა და მარი ქარუხნიშვილმა, გარკვეული მომზადების შემდეგ, პირველი ზიარება მიიღო.

ყმაწვილები გულმოდგინედ ემზადებოდნენ ამ საეკლესიო საიდუმლოებებისათვის. რამდენიმე ხნის შემდეგ, მათ მამა პიერ დიუმულენს პირველი აღსარება გაანდეს და წმიდა წირვის დროს ზიარებაც მისგანვე მიიღეს. ეს მომენტი მათთვის და მათი მშობლებისათვის მნიშვნელოვანი და ამაღლელებელი იყო, უხაროდათ საკრებულოს წევრებსაც, რადგანაც მათ რიგებს კიდევ თრი მორწმუნე შეემატა.

იმედი გვაქვს, რომ მათ მაგალითს ბევრი სხვაც მიბაძავს და კიდევ ბევრი გახდება საკრებულოს სრულყოფილი წევრი.

## რეკოლექციები გოგონათათვის

ჩვენ შევიკრიბეთ ორპირში 30 მაისიდან 2 ივნისამდე, რათა მოგვესმინა და შეგვეცნო, რა სურს ჩვენგან უფალს და განსაზღვრული ადამიანების მეშვეობით რისი თქმა სურს ჩვენთვის. დმერთმა შეგვქმნა ჩვენ და მისი პირველი სიტყვა იყო – რა კარგია!

ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ჩვენი ცოდვები, შეგვიძლია მოძღვარში დავინახოთ უფალი და თავი ვიგრძნოთ მის სიახლოვეს. წმიდა წერილის საშუალებით შეგვიძლია ვაკეთოთ ის, რასაც დმერთი მიგვანიშნებს. დმერთი ჩვენთანაა უკელან და უკელაფერში და საუბრობს ჩვენთან. ვიცით, რომ ის გვისმენს ჩვენ და მისი დუმილი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ჩვენი სიტყვები. თუ ჩვენ ვიპოვით დმერთს, ეს ნიშნავს, რომ დმერთმა გვიპოვა ჩვენ. ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს დმერთისა, რადგანაც დმერთი გვაძლევს ჩვენ თავისუფლებას, ის გვაძლევს ჩვენ მიმტევებელ სულს, თუ რამეს ვაკეთებთ, მხოლოდ სიყვარულით, რათა ჩვენი საქმეები ამაო არ იყოს. თუ ჩვენ არ გვექნება მოსმენის უნარი, არ გვეყვარება მოყვასი, რარიბები, მაშინ ვერ შევძლებთ გვიყვარდეს დმერთი. სიყვარულში უნდა ვემსგავსოთ დმერთს. დმერთმა შეგვქმნა ჩვენ და სურს გვიხილოს ისეთი, როგორიც მას სურს და ჩვენ უნდა ვესწავო გავხდეთ ისეთნი, როგორიც მას სურს, რომ გვიხილოს. ესაა ჩვენი პასუხისმგებლობა, დირსება და მოვალეობა. ჩვენ მთელი ცხოვრება ვსწავლობდით, რომ დმერთი არაფერს გვთხოვს, არამედ, პირიქით გვაძლევს.

პირადად მე შევიცანი, რომ დმერთი ყოველთვის ჩემთანაა და მისმენს მე და მეც მინდა ვიყო მის გვერდით, რათა შევაგსო ის სიცარიელე, რომელიც ჩემშია. რამდენადაც უუახლოვდები დმერთს, იმდენად უკელაფერი გამომდის და ვგრძნობ, რომ მე ის ადარ ვარ, როგორიც ადრე ვიყავი.

ჩვენს შეხვედრებზე, რომლებსაც მოძღვრები და მონაზვნები გვიტარებენ, საკუთარ თავში ცვლილებები შევიგრძენი. ახლა ჩემს ცხოვრებაში პირველი ადგილი დმერთს უჭირავს, რადგანაც მე მივხვდი რა სურს ჩემგან დმერთს.

### სუზანა დობრინიანი

## სულთმოფენობა ბათუმელ კათოლიკეთათვის გამორჩეული დღესასწაულია

2000 წლის 24 ივნისს, სულთმოფენობის დღესასწაულზე იკურთხა ბათუმის სულიწმიდის სახელობის ეკლესია. იგი ცად აფრენილ თეთრ მტრედს მიაგავს. მის ვიტრაჟებს 33 მტრედი ამშვენებს.

წლევანდელი სულთმოფენობის დღესასწაულისათვის მრევლმა ადრიანად დაიწყო მზადება. ყოველი წირვის შემდეგ, მამა გაბრიელესთან ერთად, სინოდის გადაწყვეტილებების შესაბამისად, განიხილებოდა

საკრებულოს ცხოვრება, ისახებოდა შემდგომი მოქმედების გეგმა. მიმდინარეობდა დღესასწაულისათვის მორწმუნეთა სულიერი მზადება. რამდენიმე თვეა სემინარისტი, მმა ედუარდი მუშაობს ჩვენი საკრებულოს ახალგაზრდებთან, ეხმარება მათ დმრთის სიტყვის უკეთ შეცნობაში. მან ახალგაზრდებთან ერთად მოამზადა სადღესასწაულო ღონისძიება, რომელიც ეხმარება თანამედროვე ახალგაზრდების ცხოვრებას და მასზე ქრისტიანული სწავლების გავლენას.

27 მაისი, სულთმოფენობის დღე, თბილი და მზიანი იყო. საზეიმო წირვა ხუთი საათისათვის იყო დანიშნული, მაგრამ მორწმუნებმა შუადღიდან დაიწყეს ტაძარში მოსვლა. ახალგაზრდები, მმა ედუარდის ხელმძღვანელობით, რეპეტიციას გადიოდნენ, ანულიკა და მგალობელთა გუნდი გალობებს იმეორებდა, სპეცილაურად გამოყოფილი ჯგუფი კი სადღესასწაულო სუფრას ამზადებდა, ვინ ტაძარს რთავდა, ვინ სტუმრებს უგებებოდა.

ზემოთ ტრადიციულად მოწვეულნი იყვნენ ტაძრის არქიტექტორები და მშენებელი ინჟინერი. ჩვენთან იყვნენ, ასევე, მორწმუნები ოზურგეთისა და შრომის საკრებულოებიდან. სადღესასწაულო წირვას დაესწრენ ჩვენი მეგობრები პროტესტანტული ქრისტიანული თემებიდან.

ქუთაისიდან ჩამოვიდნენ მამა გაბრიელე, მამა კარლო, და ლორედანა, სუორა ანა მარია და სუორა ქოზეფინა. გულდასასწაულები იყო, რომ ჩვენი საყვარელი ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, საქართველოში არყოფნის გამო, ვერ ესწრებოდა ჩვენს დღესასწაულს. მაგრამ მას არ დაჰვიწყებია ბათუმის ეკლესიის დღესასწაული და მამა გაბრიელეს მეშვეობით გადმოგვცა კურთხევა და მოლოცვა.

წმიდა წირვა განსაკუთრებით ამაღლებულად და ლამაზად წარიმართა. ლიტურგია შრომის საკრებულოს ახალგაზრდა წყვილის ჯვრისწერამ და მათი პატარას ნათლობამ კიდევ უფრო გაალამაზა: დმრთის წინაშე კიდევ ერთმა ახალგაზრდა წყვილმა შევჭიდა ერთმანეთს ერთგულება და კიდევ ერთი პატარა ქრისტიანი შეემატა საკრებულოს. ყველანი სიხარულით ულოცავდნენ მათ ამ ბედნიერ დღეს.

წმიდა წირვის დასასრულ, ზეიმმა ტაძრის საკონფერენციო დარბაზში გადაინაცვლა, სადაც ახალგაზრდებმა მუსიკალური სცენა წარმოადგინეს. იყო ლექსები, სიმღერები, მუსიკა. დასასრულს ყველამ სადღესასწაულო სუფრასთან მოიყარა თავი, რომელიც მრევლის წევრების მიერ დიდი სიყვარულით იყო მომზადებული. კმაყოფილი სტუმარ-მასპინძლები ერთმანეთს ულოცავდნენ ამ ბედნიერ დღეს და ადიდებდნენ უფალს მისი დიდი სიკეთისა და სიყვარულისათვის.

ეს დღე ბათუმელი კათოლიკების ცხოვრების კიდევ ერთი ლამაზი ფურცელია და ასეთად დარჩება მატიანეში.

### თენგიზ პარმაქსიზიშვილი

ისტორიის ფურცელები

31 ივლისი – იქსოს საზოგადოების დამაარსებლის, წმ. ეგნატე ლოიოლას მოხსენიების დღე

## იესოს საზოგადოების (იეზუიტების) და საქართველოს ურთიერთობის საკითხისათვის

2006 წლის დეკემბერში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ივანე ჯავახიშვილის დაბადების 130-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც საქართველოს ყველა წამყვანი უმაღლესი სახწავლებლების მეცნიერები იღებდნენ მონაწილეობას, – მათ შორის, სულხან-საბა თრბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტიდანაც.

კონფერენციაზე მრავალი საგულისხმო მოხსენება იქნა წაკითხული. ზოგი მათგანი საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ისტორიასაც შეეხებოდა. გადავწყვიტეთ უურნალ „საბას“ მკითხველს, მცირედი შემოკლებით, შევთავაზოთ ეს მოხსენებები.

ამჟამად წარმოგიდგენთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ია ხუბაშვილისა და ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ნანა ციხისთავის მოხსენებას – იეზუიტების საქართველოსთან ურთიერთობის შესახებ. იმედს გამოვთქვამთ, რომ ამ საკითხის შეხწავლა ისევ გაგრძელდება და ჯერჯერობით უცნობ არაერთ ისტორიულ ფაქტს აეხდება ფარდა.

### ნუგზარ ბარდაველიძე

იეზუიტების (იესოს საზოგადოების) საქმიანობას არაერთი მონოგრაფია და სამეცნიერო ნაშრომი ეძღვნება. ფაქტია, რომ ამ საზოგადოების გარშემო დღესაც არ წყდება სამეცნიერო თუ საეკლესიო ინტერესი, მით უფრო, რომ ამ ორდენის წარმომადგენლები დღესაც საკმაოდ წარმატებულნი არიან როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო მოღვაწეობაში, ასევე საზოგადოებრივ ასპარეზზეც. ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული საკითხის წინა პლანზე წამოწევა განპირობებულია სადღეისოდ რელიგიისა და რელიგიური ორგანიზაციების საკითხის აქტუალობით არა მხოლოდ ჩვენს სახელმწიფოში, არამედ მთელს მსოფლიოში. თუ გავიხსენებთ ცნობილი მეცნიერის ს. პანტინგტონის კონცეფციას „ცივილიზაციათა შეჯახების“ შესახებ, ალი ტარიკის „ფუნდამენტალისტების შეჯახებას“, ფ. ფუკუიამას „ისტორიის დასასრულს“, ფ. ენგელჰარდტის „მესამე მსოფლიო ომის დასაწყისს“, აშვარაა, რომ ჩვენ მართლაც უზარმაზარი პრობლემისა და მისი გადაჭრის წინაშე ვდგავართ. ეს მექანიზმები, ალბათ, უნდა ვეძიოთ ჩვენი მენტალობისათვის უფრო ახლო მდგომ და მისაღებ ღირებულებებსა და ორიენტირებში. ამდენად, ისტორიული წარსულის ხელახალი გააზრება, საშუალებას მოგვცემს ამ კუთხით, უკეთ განვისაზღვროთ, რა ფაქტორები უნდა გავითვალისწინოთ და რა სახის გზა ავირჩიოთ სამომავლოდ ჩვენი სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარებისა და სრულყოფისათვის.

ამ თვალსაზრისით, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს კათოლიკე მისიონერთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და გავლენიანი ორდენის – იეზუიტების ანუ იესოს საზოგადოების ინტერესთა არეალში საქართველოს მოქცევა. ეს საკითხი ფაქტობრივად შეუსწავლელია, ორიგინალური ნაშრომი ამ თემაზე (თუ არ ჩავთვლით რამდემიმე სამეცნიერო სტატიასა და მოსაზრებას, გამოთქმულს ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ) არ არსებობს. ნაკლებად შემორჩენილა, ასევე, წერილობითი წყაროები,

რომლებიც დაადასტურებდა იეზუიტთა ინტერესს საქართველოში მოღვაწეობის თაობაზე. ამდენად, თუ გავიხსენებთ მე-17-18 საუკუნეებში საქართველოში კათოლიკე მისიონერების გამოგზავნის მიზეზებს, რამაც განაპირობა მე-17 საუკუნის დასაწყისში საქართველო-რომის ურთიერთობების გააქტიურება და ამის გამო საქართველოში კათოლიკე მისიონერების ჩამოსვლა (მხედველობაში გვაქვს ოფიციალური მისიონები), სრულიად ნათელი იქნება, თუ რატომ გამოვარჩიეთ სხვა ორდენების წარმომადგენელთაგან „იესოს საზოგადოება“. იგი ყველა სხვა ორდენზე მეტად ძლიერი აღმოჩნდა და ისტორიის ავანსცენაზე გამოჩენისთანავე მე-16-ე საუკუნეში რეფორმაციისაგან შერყეულ კათოლიკე ეკლესიას რესტავრატორისა და მხსნელის როლში მოევლინა. კათოლიკე ეკლესისა და კონტრრეფორმაციის ძირითად დასაყრდენს სწორედ იეზუიტების ორდენი წარმოადგენდა, იესოს საზოგადოების ანუ იეზუიტების ორდენის ფუძემდებლი კი წმიდა ეგნატე ლოიოლა.

იეზუიტთა ორდენთან საქართველოს ურთიერთობა მე-17 საუკუნიდან იწყება. როგორც მიქელ თამარაშვილი აღნიშნავს, თავის წიგნში „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“, მე-15 საუკუნის შუა ხანებიდან მე-17 ს-ის დასაწყისამდე საქართველოში კათოლიკე მისიონერები არ ყოფილან. მიუხედავად იმისა, რომ მისიონერები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იგზავნებოდნენ, ამ საწყალ ქვეყანაზე არავინ ფიქრობდა. ამიტომ ქართველებმა თვითონ დაიწყეს მისიონერთა ძებნა“. ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამ მოსაზრებას, ვინაიდან ცნობილია, რომ უკვე მე-13-14 საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე კათოლიკეები მუდმივად ცხოვრობდნენ. თ. ბერაძის ცნობით, სოხუმში გენუელები პირველად 1280 წელსაა მოხსენიებული, რაც მიუთითებს სოხუმში მუდმივი კათოლიკური მოსახლეობის არსებობაზე. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მე-14 საუკუნეში კათოლიკეთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. 1318 წელს პაპმა დააფუძნა ეწ. „სულთნის სამთავრეპისკოპოსო ილხანთა სახელმწიფოში“, ხოლო ცოტა ხნით ადრე საფუძველი ჩაეყარა ქალაქ სულთანიეს (ყაზვინთან ახლოს), რომელიც მალე მისიონერთა ცენტრად იქცა. 1315 წელს იქ უკვე 25 ეკლესია არსებობდა. პაპმა მთავარეპისკოპოსის კათედრა დააწესა, რომელსაც დამზმარედ ექვსი ეპისკოპოსი ჰყავდა, რომელთაგან ორი საქართველოში იყო: ერთი თბილისში, ხოლო მეორე სოხუმში. ამ მხრივ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ინგლისელი პეტრუს გერალდის მიერ გაგზავნილი წერილი კენტერბერის მთავარეპისკოპოსთან, რომელიც 1330 წლითაა დათარიღებული. წერილიდან ჩანს, რომ გარდა სჯულშემწყნარებლობისა, რომელიც მე-14 საუკუნის სოხუმში იყო, ცხუმის საერისთავოსა და ოდიშის მფლობელის მამია დადიანის დროს კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების გაერთიანების შესახებ აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა რომის პაპს იოანე XXII-სა და საქართველოს მეფე გიორგი ბრწყინვალეს შორის. გერალდის წერილის მიხედვით, მამია დადიანი მზად იყო ამგვარ გაერთიანებაზე და პირადად კათოლიკობის მიღებაზეც.

მე-17-18 საუკუნეებში ზოგადად საქართველო-რომის ურთიერთობებს პოლიტიკური, კუნომიკური და რელიგიური ინტერესები განსაზღვრავდა. გარდა კონტრრეფორმაციის ფუნქციისა, იესოს საზოგადოებას რომის პაპისგან დაევალა ისლამურ სამყაროზე შეტევის მომზადება და ეს სავსებით ლოგიკური და მოსალოდნელი იყო, თუ გავითვალისწინებთ მე-16-18 საუკუნეების ევროპის ქვეყნების ისტორიის დინამიკას, იმ პერიოდისათვის დამახასიათებელ ძირეულ გარდატეხას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში. სწორედ ამ ინტერესთა ერთობლიობამ განაპირობა იესოს საზოგადოების აქტიური მისიონერული საქმიანობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოშიც.

ქართველ მეფე-მთავრებს ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ ევროპის ქრისტიანული სახელმწიფოებისა და რომის პაპის იმედი ჰქონდათ. გავიხსენოთ ნიკიფორე ირბაზის (ნიკოლოზ ჩოლოფაშვილის) ელჩობა ევროპის ქვეყნებში 1625-1629 წლებში, განსაკუთრებით

ელჩობა ესპანეთში. ქართველი მეფე თეიმურაზ პირველი ელჩის პირით სთავაზობდა ესპანეთის მეფეს, ფილიპე მეოთხეს, თავის სამხედრო-პოლიტიკურ გეგმას, რომელიც მიმართული იყო „ქრისტესა და კათოლიკე ეკლესიის მტრის“ – სპარსული ტირანის წინააღმდეგ. ფილიპე მეოთხის დაინტერესებას ელჩი იმითაც ცდილობდა, რომ არწმუნებდა: ქართველთა მეფე ესპანეთის მეფეს კონსტანტინოპოლის ტახტის მოპოვებაში დაეხმარებოდა. როგორც ცნობილია, ქართველ ელჩს სარეკომენდაციო წერილები გაატანეს ესპანეთის მეფესთან იერუსალიმის პატრიარქმა თეოფანემ და თეატინელმა მისიონერებმა მესინადან. შეიძლება ვივარაულოთ, რომ ურთიერთდახლოებისა და ურთიერთდახმარების ინტერესები ევროპისა და ქართული მხრიდან თანაბარი იყო. ევროპის ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ინიციატორად რომის პაპი გამოდიოდა. კოალიციაში ევროპის სახელმწიფოებთან ერთად (ინგლისი, ესპანეთი, პოლონეთი, რუსეთი და აშ.) ირანი და საქართველო უნდა გაერთიანებულიყო. ქართველი მეფე-მთავრები ევროპასთან ურთიერთობას ეკონომიკურ მიზნებსაც უკავშირებდნენ. მათი პროექტით, უნდა აღდგენილიყო ძველი „აბრეშუმის გზა“, რომელსაც საქართველოზე უნდა გაევლო და ევროპა აზიასთან დაეკავშირებინა.

1615 წელს თავადმა დადიანმა თავის ელჩს დაავალა კონსტანტინოპოლში მოეძებნა მისიონერები და მასთან ჩამოყავანა. აღსანიშნავია, რომ მანამდე, მე-17 ს-ის დასაწყისში ქართველმა თავადებმა მიმართეს სპარსეთში მყოფ მისიონერებს, მაგრამ ვერაფერს მიაღწიეს. ამის შესახებ ერთი პორტუგალიელი მისიონერი წერდა: „მანუჩარ ხან მთავარმა, რომელიც ქართველების ერთი სამთავროს პატრიონია, ესრედ მითხრა ისპაპანში, დიდად მოხარული ვიქნები, უკეთუ რამოდენიმე თქვენი მღვდელი წამომყვება ჩემს სამეფოში და თუ ერთ მკურნალსაც თან წამოიყვანს, უფრო დიდად პატივცემული იქნებიანო. იმავე დროს პატრი მელქიორი დეზანი, მეფის პალატაში (სპარსეთში) ყოფნის დროს დაპირდა წაჰყოლოდა ალექსანდრე მეფეს, საქართველოს ერთ მთავართაგანს, მაგრამ ლუდოვიკო პერეირე დელჩერდა, რომელიც (ისპანიიდან) ელჩად იყო სპარსეთს გაგზავნილი, არ დათანხმდა მის წასვლას, რადგან არ უნდოდა მოშორება“. მიქელ თამარაშვილი თავის ნაშრომში, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, აღწერს, თუ როგორ დაიწყო „მეგრელებსა და ქართველებში გასაგზავნმა მისიონმა მოღვაწეობა, კერძოდ კი პატრი ლუდოვიკე გრანჯერიომ (იგივე ლუი გრანჟემ) მორჩილ ძმასთან ერთად. ყოველივე ეს მოხერხდა იეზუიტი მამების თანადგომით. მისიონერები ჯერ გურიაში იქნენ მიპატიუებულნი გურიელის მიერ, ხოლო მოგვიანებით კი სამეგრელოს მთავარს – დადიანს ეახლონ. მათ დიდი გეგმები ჰქონდათ, მაგრამ საომარი პირობების გამო აღნიშნულ რეგიონში, მისიონის საქმიანობა არ გაგრძელებულა, იეზუიტებმა ვერ შეძლეს იქ სხვა პირების გაგზავნა. ამას დაემატა ისიც, რომ ერთ-ერთი მამა შავმა ჭირმა იმსხვერპლა, ლუი გრანჟემ კონსტანტინოპოლამდე ჩაღწია, მაგრამ მალევე გარდაიცვალა. ამგვარად, შეგვიძლია, რომ იეზუიტებისა და საქართველოს ურთიერთობის დასაწყისად ლუი გრანჟეს (1575-1615 წ.წ.) საქართველოში მოღვაწეობა მივიჩნიოთ. საქართველოში ჩასვლამდე, როგორც ჩანს გრანჟე აგროვებდა გარკვეულ ინფორმაციებსა და მონაცემებს ჩვენს ქვეყანაზე. იეზუიტთა თანამედროვე კატალოგებში იგი მოხსენიებულია, როგორც ფართო განათლების მქონე პიროვნება. იგი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლში ყოფნისას გასცნობას მეგრელ მოწაფეებს და იეზუიტთა უმაღლესი წინამძღვრისადმი მიწერილ წერილში დადგებითად ახასიათებს მეგრელებს: „ისინი ქრისტიანები არიან, ამბობენ ნაწილობრივ ფრანგები ვართ, ნაწილობრივ ბერძნებიო. ძალზე განიცდიან მღვდლების ნაკლებობას. საფრანგეთის მეფის ღრმადმორწმუნე ელჩს სურს, რომ ჩვენი ორდენიდან ვინმე მათთან ჩავიდეს“. 1615 წ. 2 მარტს მოქვიდან რომში ლუი გრანჟემ ვრცელი წერილი გააგზავნა, რომელიც ლიონში დაიბუჭდა 1616 წელს მნიშვნელოვანი და საგულისხმო წერილების კრებულში, რომლის საშუალებითაც მე-17 ს-

ში იეზუიტები ფართოდ ავრცელებდნენ ცნობებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხის შესახებ.

გრანჯეს ეს წერილი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მასში რვა კითხვაა დასმული სამოციულო განგებასთან დაკავშირებით, რომლებზე პასუხსაც იგი უმაღლესი წინამდღვრისაგან ელოდა: 1) იმ შემთხვევაში, თუ სხვაგვარად დახმარება გამორიცხულია, ხომ არ უნდა მივიღოთ მართლმადიდებლური წესი? 2) მათი წესის მიღების შემთხვევაში ხომ არ უნდა ვამჯობინოთ ბერის სამოსი და ცხოვრების წესი? 3) თუ მართლმადიდებლები ზიარებისათვის ჩვენ მოგვმართავენ, ხომ არ უნდა დავრთოთ წება ფრანგებს, თავის მხრივ მათაც მიმართონ მართლმადიდებლებს? 4) როცა მართლმადიდებლები აღსარებისათვის მოგვმართავენ, ავუხსნათ მათ ფილიოკვე თუ დავტოვოთ ისინი საკუთარ მრწამსში? 5) ხომ არ ჯობია გადავაფიქრებინოთ ბერძნებს მათთან მისული სომხების ხელახლა მონათვლა, რომლებიც მათ ხელახლა ნათლავენ, რადგან ეჭვი ეპარებათ, რომ სათანადო არ არიან მონათლული წმ. სამების სახელით? 6) ბერძენი ეპისკოპოსები, რომლებიც ეპისკოპოსად დანიშვნაში თურქებს ქრთამს აძლევენ, დამნაშავენი არიან თუ არა გამყიდველობაში? 7-8) რა ვუყოთ ლათინებს, რომლებიც თურქებთან თანამშრომლობენ? ამ წერილის შინაარსი გვაფიქრებინებს, რომ მასში ჩამოყალიბებულია იეზუიტთა სტრატეგია. რომიდან კარდინალმა ბელარმინმა ლუი გრანჯეს კითხვებზე უარყოფითი პასუხი გასცა: „შეუძლებელია, თუ ჩვენ ლათინები ბერძნულ წესს მივიღებთ, გავიმეორებთ ბერძენთა შეცდომას, რომლის თანახმადაც ლათინური წესი არასწორია“.

ლუი გრანჯეს მისია პირველი იყო იეზუიტებთაგან საქართველოში. აღსანიშნავია, რომ მის მიმოწერაში ფიგურირებს თამამი აზრები იეზუიტებისათვის იმის შესახებ, რომ საქართველოში წირვა-ლოცვის ჩატარებისას, ლათინური წესი არ გამოეყენებინათ და და ამიტომ რომის პაპს თხოვდა წებართვას, ადგილობრივ ეპისკოპოსებთან ერთად ზოგჯერ მათივე წესით ეწირათ ეკლესია-მონასტრებში, ხოლო საკუთარი წესი კი ყოველდღიური წირვისათვის შემოენახათ. რომიდან პასუხი შემდეგი იყო: თუ იეზუიტები წესს შეცვლიან, ამით იტყვიან, რომ აღარ გვსურს ამ ხალხის დაწმუნება სქიზმიდან ერთიანზე, მცდარიდან ჭეშმარიტზე გადასვლის საჭიროებაში. გამოჩენილი იტალიელი მეცნიერი ვინჩენცო პოჯო თავის ნაშრომში „იეზუიტები და საქართველო“ რომიდან მიღებულ პასუხს კომერტას უკეთებს და აღნიშნავს, რომ „მამა გრანჯეს მიერ ჩამოყალიბებული პრობლემა ახლოსაა თანამედროვე კათოლიკურ კონცეფციასთან, რომელიც არ გულისხმობს ერთი წესის უპირატესობას სხვა წესთან, როგორც ამას ბელარმინის დროს ფიქრობდნენ“.

ამით იეზუიტებისა და საქართველოს ურთიერთობები არ დასრულებულა, მას ჰქონდა თავისებური გაგრძელება. ამაზე მიუთითებს 1690 წ. 24 აგვისტოთი დათარიღებული წერილი, რომელიც იეზუიტმა იოანე გოსტოვსკიმ პროპაგანდა ფიდეში ერთ-ერთ კარდინალს გაუგზავნა. ამავე იეზუიტს დავალებული ჰქონდა ქუთასში მისიონის დაარსება. მე-19 ს-ის დასაწყისში კავკასიაში იმოგზაურა ბელგიელმა იეზუიტმა ჟიულ ანრიმ. როგორც მისი წერილიდან ჩანს, იგი საქართველოშიც უნდა ყოფილიყო: „1808 წელს, – წერდა იგი, – საქართველოში ვიყავი და ერთ კათოლიკესთან ვცხოვრობდი. ქართველები... ყველა მათგნისგან გამოიჩინა. ერთხელ მთხოვეს დავრჩენილიყავი მათთან მღვდლად. დავთანხმდი და მათ ეკლესიაში ვიქადაგე. ისინი დიდი ყურადღებით მისმენდნენ“.

1920 წ. ივნისში იესოს საზოგადოების მდივანი პიეტრო ტაჩი ვენტური წერდა აღმოსავლეური ეკლესიების კონგრეგაციის თანაშემწეს, მონსინიორ ისაია პაპადოპულუსს: „მაქს სიამოვნება, გაუწყოთ, რომ შევარჩიეთ საქართველოში გასაგზავნი სამი მისიონერი: ჯოაკინო მოსკა - იტალიელი, ლუი ბაილი - ფრანგი, ლადისლავ ცისკიევიჩი - რუსი“. მათ ვიტო კოლანჯელოც შეუერთდა. 1920 წ. 19 ნოემბერს პაპმა ისინი სპეციალურ

აუდიენციაზე მიიღო. 1921 წ. დამდეგს კი მისიონერები საქართველოსკენ გამოემგზავრნენ, მაგრამ თბილისამდე არ ჩამოუღწევიათ. ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის ამბავი რომ შეიტყვეს, ისინი უკან გაბრუნდნენ.

იეზუიტებს საქართველოსთან კავშირი დღესაც არ გაუწყვეტიათ. აյ ჩამოსული იეზუიტები სწავლობდნენ ქართულ ენას, ლიტერატურას, კულტურას. მათგან შეიძლება დავასახელოთ მიშელ ვან ესბროკი, მიქელ არანცი და ვინჩენცო პოჯო.

ამგვარად, ზემოთ მოყვანილი ფაქტებით ჩვენ შევეცადეთ გაგვეაზრებინა, თუ რა იყო იეზუიტების საქართველოში ფეხის მოკიდების მცდელობის მიზეზები, რა გეგმები ჰქონდათ ამ გამჭრიახ და პრაგმატულად მოაზროვნე კათოლიკე მოღვაწეებს. იყო ეს მათი ერთიანი სტრატეგიის ნაწილი თუ მხოლოდ მცდელობა თავიანთი ინტერესების გატარებისა, რატომ ამჯობინეს მეორე პლანზე გადასვლა და ადგილის დათმობა სხვა ორდენებისათვის, რომლებმაც გაცილებით დიდი როლი შეასრულეს მისიონერულ საქმიანობაში? ხომ არ შეინიშნებოდა მათი უჩინარი ხელი სხვა დანარჩენი ორდენების საქმიანობაში საქართველოს ტერიტორიაზე ანდა მეზობელ სახელმწიფოებში? რა თქმა უნდა, ეს ჩასაფიქრებელი კითხვებია, რომელზეც, ვიმედოვნებთ, რომ თანდათანობით გამოიკვეთება სათანადო პასუხები.

## სოციალური პრობლემები

### ინერ-იტალია საქართველოში

“სექსუალობა თანამედროვე კულტურაში” და “ოჯახის დაგეგმვის ბუნებრივი მეთოდის საფუძველი”, – აი, ეს ორი თემა იყო წარმოდგენილი კონფერენციაზე, რომელიც 1 ივნისს გაიმართა ინსტიტუტ „საბას“ საკონფერენციო დარბაზში. შეხვედრა ორგანიზებული იყო INER-Georgia-ს მიერ. ამ, დღეისათვის აქტუალურ თემებზე ისაუბრეს იტალიელმა სპეციალისტებმა, ინერ-იტალიის წარმომადგენლებმა ლიჩა ბერტაზინიმ და ჯან კარლა სტევანელამ.

საქართველოში ბევრს საუბრობენ და კამათობენ ახალგაზრდების სექსუალური აღზრდის საჭიროებაზე და ამაზე დია საუბარს მხოლოდ უარყოფითად აფასებენ. თუმცა დღევანდელ სინამდვილეში, ახალგაზრდებს ადრეული ასაკიდანვე ატყდებათ თავს გაუცნობიერებული ინფორმაცია და სანახაობები, თუ ჩვენ თვალებზე ხელს ავიფარებთ, ამით პრობლემა არ მოიხსება.

ლიჩა ბერტაზინიმ, რომელმაც ისაუბრა “სექსუალობაზე თანამედროვე კულტურაში”, თანმიმდევრულად და გასაგებად განმარტა, რომ სექსუალობა მხოლოდ ფიზიკურ ნიშანს არ უკავშირდება, როგორც ამას ტელევიზია და სხვა ინფორმაციული საშუალებები გვაწვდიან, სადაც სექსი მხოლოდ დასაკმაყოფილებელი საჭიროებაა და მოხმარების საგნად იქცევა. ლიჩამ აღნიშნა, რომ სექსუალობა ქალსა და მამაკაცში ღმრთის მიერ ჩადებული მადლია, რომელიც ორმხრივი სიყვარულის გამოხატულება და დიალოგია ურთიერთის სრული (სხეულისა და პიროვნების) მიძღვნით. ის სიყვარულის ერთ-ერთი ენაა. სექსუალობა ქალისა და მამაკაცის მთლიანი პიროვნების მომცველია და პარმონიას მხოლოდ ერთ მომენტში ვერ მიაღწევს, ეს გზა და გზა ხდება ყოველდღიურ ცხოვრებაში, ურთიერთსიყვარულში, გულიდან წამოსულ

ქმედებებში, ყურადღებაში, სხვაზე ზრუნვაში, რაც მეორის გატედნიერებას ისახავს მიზნად და ეს ყველაფერი თავის დროზე მესამეში, ახალ სიცოცხლეში გადაიღვრება.

სიცოცხლის გადაცემის მადლზე კი ისაუბრა ჯანკარლამ, რომელმაც ყურადღება გაამახვილა ცოლ-ქმრის ნაყოფიერებაზე, პასუხისმგებლობაზე სიცოცხლის გადაცემის წინაშე, ბავშვის ჩასახვისადმი გულდია დამოკიდებულებაზე, სადაც ბავშვი აღიქმება სიყვარულის ნაყოფად და არა მოსალოდნელ საშიშროებად. მან ძალიან გასაგებად, თვალსაჩინო მასალის გამოყენებით განმარტა ბუნებრივი მეთოდი, რომელიც წყვილს არჩევანის საშუალებას აძლევს, იცხოვროს ბუნებასთან თანხმობაში და ჰარმონიაში. ეს კი კიდევ უფრო უწყობს ხელს წყვილის დახმარებას.

ამ ორმა მშენიერმა და ენერგიულმა ქალბატონმა კონფერენცია პროფესიონალურად წარმართა და დამსწრე საზოგადოება იტალიელებისთვის დამახასიათებელი ტემპერემენტით მოხიბლა.

საქართველოში მათ მიერ მომზადებული და დიპლომირებული არიან ობდეს მასწავლებლები, რომლებიც სხვადასხვა ქალაქებში მუშაობენ ინერ-საქართველოს ხელშეწყობით. სტუმრებმა თავისი ვიზიტის მეორე და მესამე დღეს ტესტირება ჩაუტარეს როგორც ძველ, ასევე, ახალ მასწავლებლებს და მათ რიგებს მიემატა კიდევ სამი სერტიფიცირებული პედაგოგი, რომლებიც იმუშავებენ წყვილებთან სიცოცხლის გადაცემის კულტურის ამაღლებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით.

## ნანა ნებიერიძე

საუბარი ეპისკოპოსთან

ძვირფასო მოძღვარო,

წელს, როდესაც მართლმადიდებლები და ქათოლიკეები ერთად ზეიმობდნენ ჩვენი უფალი იესო ქრისტეს ზეცად ამაღლებას, კახეთის ძველ კათოლიკურ სოფელ ხიზაბავრაში მიცვალებულს ასაფლავებდნენ.

მღვდელმა ყველა მაცხოვებელი მიიწვია საზეიმო წირვაზე, რომლის დროსაც მიცვალებულს წესს აუგებდნენ.

წინააღმდეგობა არავის გაუწევია, თუმცა მღვდელს სოხოვეს, რომ მიცვალებულისათვის სახლში აეგოთ წესი, ეკლესიაში კი რამდენიმე წუთით შემოიგლიდნენ! ამბობდნენ, რომ დრო არ ჰქონდათ!

ასეც მოხდა, დასაფლავების შემდეგ, მოძღვრის მიპატიუების მიუხედავად წირვაზე არავის მოსულა, ყველანი „ქელებზე“ წავიდნენ, მოძღვარს კი ეკლესიდან წასვლა მოუწია, რადგანაც ის ცარიელი იყო.

ძვირფასო მოძღვარო, გთხოვთ გვიპასუხოთ, როგორ მოვიქცეთ მსგავს სიტუაციებში და რა არის მთავარი, წმიდა წირვა თუ სუფრა დაკრძალვის შემდეგ?

პატივისცემით,

## მთავარი

ძვირფასო მიშა,  
ვკითხულობდი შენს წერილს და ვფიქრობდი სინოდზე, როდესაც I სესიის  
პირველივე დღეს, სწორედ ასეთივე ტკივილით გულში, მღვდლებმა და  
საერო პირებმა გამოხატეს თავიანთი აზრი დაკრძალვასთან  
დაკავშირებით, რომელიც სრულდება კვირა დღეს და იმ პრობლემებზე,  
რომელიც ამის შემდეგ იბადება და, რომელიც შენც შეამჩნიე.

მთავარი პრობლემა კი ისაა, რომ დაკრძალვა დღესასწაულს  
დირებულებას უკარგავს და ეს, რა თქმა უნდა, არ არის კარგი.

მინდა შეგახსენო, რა წერია ამის შესახებ სინოდის წიგნში, ეს არის წესი,  
რომელიც უნდა დავიცვათ. მინდა გითხრა, რომ როდესაც სინოდმა ეს  
პრობლემა გადაწყვიტა, სინოდის წევრებმა მასზე ერთხმად უპასუხეს:

ადამიანის გარდაცვალება არა მხოლოდ მის ოჯახს ეხება, არამედ, ასევე,  
საერო და საკელესიო საზოგადოებასაც. საქართველოშიც ასეა,  
მწუხარების გაზიარება და დაკრძალვაში მონაწილეობის მიღება  
თანაზიარების მნიშვნელოვანი მოქანებია. კარგია, რომ სოფელი  
მწუხარების განცდის უამსაც ერთად იკრიბება. ზოგჯერ დაკრძალვა კვირა  
დღეს ინიშნება, როდესაც საკრებულო ეკლესიის საკურთხეველთან უნდა  
იკრიბოდეს ეკქარისტიის წესის აღსასრულებლად. ასეთი დამთხვევის  
შემთხვევაში, მორწმუნები ორჭოფობენ, თუ სად წავიდნენ. სინოდის  
დროს გამოთქმულ მოსაზრებებზე დაყრდნობით და თანაზიარების ამ  
მოქანების მნიშვნელობის გათვალისწინებით, კათოლიკური დაკრძალვა  
დაიშვება კვირის ყველა დღეს, თუ ცხედარს ეკლესიაში მიასვენებენ  
წმიდა წირვის აღსრულების დროს მიცვალებულისათვის წესის ასაგებად.  
სხვაგვარად, იკრძალება დაკრძალვის კვირა დღეს ჩატარება, რათა  
მორწმუნებს არ მოუწიოთ წირვის გამოტოვება (სინოდის წიგნიდან,  
მიცვალებულთა დაკრძალვა, მუხლი 31).

## ინტერვიუ

14 ივლისი – წმ. კამილო დე ლელის, კამილიელთა ორდენის  
დამაარსებელის მოხსენიების დღეა, ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ  
ინტევიუს კამილიელ მოძღვართან, მამა **პავლე დილთან**

## „ჩემი საკურთხეველი ავადმყოფთა საწოლია“

კამილიელი მამა პავლე დილი საქართველოში 1999 წელს ჩამოვიდა.  
ჩამოსვლისთანავე მამა პავლე დილი სიყვარულით და მონდომებით  
ემსახურება გაჭირვებულ და სხეულ ადამიანებს. ის დახმარებას უწევს  
არა მარტო მატერიალური, არამედ სულიერი თვალსაზრისითაც და თავის  
სიყვარულს უშურველად გასცემს, განურჩევლად რწმენისა და ეროვნებისა.  
საქართველოს ჩამოსვლის პირველ წლებში მამა პავლე სამხრეთ  
საქართველოს უმშენებელებს კუთხებში – ხიზაბავრაში და გარგაზში

აღასრულებდა თავის მხატვრებას, ბოლო წლებში კი უდესა და არალში მამა იჯი შიმეროვსკის ეხმარება.

მას შემდეგ, რაც მამა პავლე უდეს საკრებულოში მამა იჯისთან ერთად გვიტარებს წმიდა წირვებს, იგი მზრუნველობას არ აკლებს სოფლის სოციალურად დაუცველ და ავადმყოფ ადამიანებს. მან ბევრი ოჯახი მოინახულა და კეთილი სიტყვითა და ქმედით დახმარებით ბევრ ადამიანს გაუთბო, ადამიანთა და ხელისუფალთა უმოქმედობის გამო, უნდობლობით გაყინული გული. მამა პავლებ განსაკუთრებული შრომა უდეს სალოცავი სახლის შეკვეთების დროს გახსინდა.

უდეს, არლის, ვალის და ახალციხის საკრებულოებში მოქმედებს „საქართველოს კარიტასის“ მიერ დაფუძნებული უფასო სამედიცინო პუნქტი, რომელთაც უშუალოდ მამა პავლე კურირებს. უდეს საკრებულო მადლობას უხდის მამა პავლებ მისი გულისხმიურებისა და ავადმყვებისადმი გაწეული თავდაუზოგავი შრომისათვის.

2007 წლის 8 იანვარს მამა პავლე, ორი თვით, ლათინური ამერიკის კუნძულ ჰაიტს გაემგზავრა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ იგი პირველსავე კვირას ესტუმრა უდეს საკრებულოს. სწორედ კუნძულ ჰაიტს მისი მისისა და იქ გატარებული დღეების შესახებ გაესაუბრა მას „საბას“ კორესპონდენტი უდედან, მარინა აღლება შვილი:

**მამა პავლე, რა იყო კუნძულ ჰაიტს თქვენი გამგზავრების მიზანი ?**  
კუნძულ ჰაიტს მალიან ლარიბი შაგგანიანი მოსახლეობაა. იქ მოდგაწეობები კამილიული მქები, სწორედ კამილიულთა საქმიანობის, მათი ცხოვრები სტილის გაცნობა იყო ძირითადად ჩემი მოგზაურობის მიზანი.

**რითი იყავით დაკავებული ამ პერიოდის განმავლობაში?**

უკვე 10 წელია, რაც კამილიულებს ჰაიტს აქვთ სახლი, რომელსაც „ბეთლემის სახლი“ ჰქვია. ამ სახლში ცხოვრობენ ინვალიდი და ოჯახებისაგან მიტოვებული – ე.წ. „ქუჩის ბავშვები“. ვცდილობდი დავხმარებოდი მათ, განსაკუთრებით ინვალიდებს, ვაჭმევდი, ვუვლიდი, მათთან ერთად ვთამაშობდით, ვსეირნობდით. მსიამოვნებდა მათთან ურთიერთობა. იმ ბავშვებში ვხედავდი იქსო ქრისტეს. ჩემი საკურთხეველი ავადმყოფთა საწოლია.

**ჰაიტს რომელი აღმსარებლობის ადამიანები ცხოვრობენ და როგორი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან?**

ძირითადად კათოლიკები, დაახლოებით მოსახლეობის 60%, დანარჩენი კი – პროტესტანტები. მათ თბილი და მეგობრული ურთიერთობები აქვთ ერთმანეთთან. ისინი დარიბები, მაგრამ კეთილები არიან.

მამა პავლე, მართალია მალიან მცირე დრო გქონდათ იმისათვის, რომ ჰაიტელი კათოლიკების ცხოვრებას დაკვირვებოდით, მაგრამ, ალბათ, ჩვენი მკითხველებისათვის საინტერესოა როგორი დამოკიდებულება აქვთ მათ ეკლესიის მიმართ, აქტიურობენ თუ არა მრევლის წევრები.

ჩემი დაკვირვებით მრევლის წევრები ძალიან აქტიურები არიან, განსაკუთრებით კატეხისტები. ერთი რამაც გამაოცა, ის არის, რომ, იქაური კატეხისტები უფრო მეტად მამაკაცები არიან. პაიტზე არის ერთი სამრევლო, სადაც მდგრელი მხოლოდ თვეში ერთხელ მიღის, მაგრამ მრევლი კი ყოველდღე იკრიბება და კატეხისტები მათ განსაკუთრებულ ლიტურგიას უტარებენ. იქ ღმრთის სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს. ღმრთის სიტყვა წერია ყველგან: მაღაზიებში, ავტობუსებში, სამარშუტო ტაქსებში...

**თუ აღმოაჩინეთ პაიტზე რაიმე განსხვავებული, თქვენთვის შთამბეჭდავი წეს-ჩევულება, რამაც აგაღელვათ და დაგაინტერესათ?**  
ძალიან მომეწონა, რომ წმიდა წირვაში პაიტელები მთელი ოჯახით მონაწილეობენ. საოცარი კი ის იყო, რომ მათ წირვისათვის განსაკუთრებული ტანსაცმელი აქვთ – თეთრი და სუფთა. წირვაზე ყველანი ერთად გალობენ, მთელი გულით და შთამბეჭდავად. კიდევ ერთი საინტერესო შტრიხია ისიც, რომ წირვაზე, საქართველოსაგან განსხვავებით, უმეტესად მამაკაცები დადიან.

### **პაიტზე აღგილობრივი მდგრელები თუ არიან?**

ჯერჯერობით არა, მაგრამ არის სემინარია. ორმა სემინარისტმა უკვე დადო ფიცი ბიბლიაზე.

ბოლოს მინდა დავუმატო რომ, თუ შესაძლებლობა მექნება კვლავაც სიამოვნებით ვეწვევი ამ ეგზოტიკურ და საოცარ კუნძულს.

### **ინფორმაცია**

## **დიალოგი რელიგიათშორისი გლობალიზაციის ფონზე**

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ინსტიტუტი, გარდა სასწავლო პროცესის განხორციელებისა, ფართო სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობითაც არის დაკავებული. ამ მიმართულებით წარმართული ღონისძიებებში უმნიშვნელოვანები ადგილი საერთაშორისო სიმპოზიუმების ჩატარებას ეთმობა. 2006 წლის მაისში რელიგიათმცოდნეობის საკითხებისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი გაიმართა, რომელშიც ხუთი ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. აღვნიშნავ, რომ ეს იყო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველი სამეცნიერო ფორუმი, რომელიც მთლიანდ რელიგიათმცოდნეობის საკითხებს მიეძღვნა. ამიტომ ცხადი იყო ქართველი რელიგიათმცოდნეების დაინტერესება და მზაობა მონაწილეობა მიეღოთ აღნიშნულ სამეცნიერო ღონისძიებაში.

გასული წლის სიმპოზიუმმა მართლა დიდი გამოხმაურება ჰქოვა და მიმდინარე წელის მაისში გამართულ მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმში მონაწილეობის მისაღებად რელიგიის კვლევებით დაინტერესებულმა მცნიერებმა უკვე წლის დასაწყისიდანვე წარმოიდგინეს სამეცნიერო

მოხსენებების თეზისები, მაგრამ, ამავე დროს, რელიგიათმცოდნეთა პირველმა სიმპოზიუმმა დღის წესრიგში დააყენა საკითხი, რომ აუცილებელი იყო რომელიმე ცალკეული, აქტუალური პრობლემის წინ წამოწევა და წინასწარ შერჩეული კონკრეტული თემატიკისადმი სპეციალური ფორუმის მიძღვნა. სწორედ ამიტომ სიმპოზიუმის ქართველმა, ფრანგმა და თურქმა (თურქეთის საქართველოს მეგობრობის ასოციაცია) ორგანიზატორებმა ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში გადაწყვიტეს სპეციალური სამეცნიერო სიმპოზიუმი მიეძღვნათ დღეისათვის მთელს მსოფლიოში აგრერიგად აქტუალური ისეთი პრობლემებისადმი, როგორადაც წარმოგვიდგებიან: რელიგიათმორისი ურთიერთობები, ინტერრელიგიური დიალოგის აუცილებლობა, რელიგიური პლურალიზმი და ლიბერალიზმი. და რა თქმა უნდა ყველაფერი ეს გლობალიზაციით გამოწვეული პრობლემების ფონზე.

10-12 მაისს ჩატარებული რელიგიათმცოდნეობის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმის მზადების პარალელურად, აქტიური საორგანიზაციო საქმიანობა მიმდინარეობდა რელიგიათმორისი დიალოგისა და გლობალიზაციის პრობლემებისადმი მიძღვნილი ფორუმის მოსამზადებლად. ერეთგვარ სირთულეს წარმოადგენდა ეს მოთხოვნაც, რაც სიმპოზიუმის კოორდინატორებმა დაუყენეს საკუთარ თავს – მომსენებალთა მაქსიმალურად განახლებული წარმომადგებლობა. მართლაც 14 – 15 ივნისს ჩატარებულ საერთაშორისო სიმპოზიუმში „რელიგიათმორისი დიალოგი და გლობალიზაციის პრობლემები”, მომსენებელთა ორი მესამედი პირველად იღებდა მონაწილეობას სულხან-საბა ოპრბელიანის სახელობის ინსტიტუტისა და რელიგიათმცოდნეთა კავშირის მიერ ორგანიზებულ სიმპოზიუმში. სიმპოზიუმის ორგანიზატორებმა და აღმასრულებელმა კომიტეტმა მართლაც გასაოცარი გულმოდგინება გამოიჩინეს რაც არა მხოლოდ მომსენებელთა არამედ თვით დამსწრე საზოგადოების თითქმის 50 პროცენტიან გადახალისებაში გამოიხატა. ექსპერიმენტის მიზანი კი ის გახდავთ, რომ სიმპიზიუმებზე დასწრების მრავალრიცხოვან მსურველებს მისცემოდათ საშუალება ერთხელ მაინც მიეღოთ მონაწილეობა რელიგიის საკითხებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ფორუმში.

სიმპოზიუმი „რელიგიათმორისი დიალოგი და გლობალიზაციის პრობლემები”, რომელშიც 20 მომსენებელი იღებდა მონაწილეობას, 14 ივნისს გაიხსნა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სხდომათა დარბაზში, სადაც 150-მდე ადამიანი ესწრებოდა: პარლამენტარები, მეცნიერები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, რელიგიურ გაერთიანებათა, საქართველოში მოქმედ უცხოეთის სხვადასხვა სახელმწიფოების საელჩოთა წარმომადგენლები.

სიმპოზიუმის გახსნის ცერემონიალზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი ქალბატონი გუბული მაღრაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი ბატონი როინ ნიჟარაძე, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ბატონი გიგი თევზაძე,

საქართველოს სახალხო დამცველი ბატონი სოზარ სუბარი, წმ. ნიკოლოზის ტაძრის დეკანოზი მამა ზაზა თევზაძე, სულხან-საბა თრბელიანის სახელობის ინსტიტუტის რექტორი ბატონი პიერ დიუმულენი, სიმპოზიუმს სპეციალური წერილით მიესალმა აჭარის სასულიერო მუფტი ბატონი ბექირ ბოლქვაძე.

სიმპოზიუმის პირველ დღეს მოხსენებებთ გამოვიდნენ ბატონები გია ნოდია (კავკასიის ინსტიტუტის თავჯდომარე), ჯანჯიროლამო მარტინი (იტალია), ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები აპოლონ სილაგაძე და თამაზ ბუთხუზი. გამოსვლებმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, იყო მრავალი შეკითხვა კამათი და ეს ბუნებრივიც არის დღევანდელი სამეცნიერო შეკრებები მკვეთრად განსხვავდება საბჭოური „უძრაობის“ პერიოდის ანალოგიური ფორუმებისაგან, სადაც ყოველგვარი პლურალიზმი გამორიცხული იყო და სხვაგვარად მოაზროვნე ხალხის მტრად ცხადდებოდა. თუ გავითვალისწინებთ გლობალიზაციისადმი ადამიანების სრულიად საპირისპირო დამოკიდებულებებს არც უნდა გაგვიკვირდეს ამ თემატიკისადმი სრულიად არაორდინაციურ, ურთიერთგამომრიცხავ არგუმენტებზე აგებული დამოკიდებულება. მით უმეტეს, თუ იმასაც გავივალისწინებთ, რომ მრავალრიცხვან შეკრებილ აუდიტორიას პქონდა საშუალება თავისუფლად გამოეთქვა აზრი და დაეფიქსირებინა თავისი მოქალაქეობრივი პოზიცია, ცხადია ყველაფერი აკადემიური მსჯელობის ფარგლებში. ადვილი წარმოსადგენია თუ როგორი ვნებათა დელვა იქნებოდა დარბაზში, თუმცა სხდომის წამყვანის მისამრთით უნდა ითქვას, რომ მაქსიმალურად იქნა დაცული რეგლამენტი და სიმპოზიუმის მსვლელობა. თუმცა უცხოელი გამომსვლელის მიერ ნათქვამა ერთმა არაკორექტულმა გამონათქვამმა გამოიწვია პარლამენტის წევრის ბატონ კოტე გაბაშვილის ადშვილება.

სიმპოზიუმის მეორე სამუშაო დღე წეროვანის კონფერეციებისა და ტრეინინგების ცენტრში გაგრძელდა. ამ დღეს პროგრამით გათვალისწინებული 12 მომსხენებელი წარსდგა აუდიტირის წინაშე. მოხსენებების სპექტრი საკმაოდ ფართო იყო – „რელიგიური პლურალიზმითა და რელიგიათშორისი დიალოგით“ დაწყებული (გ. ბრაგანტინი) და „სამოქალაქო რელიგიის ფორმირების ვერტიკალებით“ (ნ. ბარდაველიძე) დასრულებული. ზოგიერთი მოხსენება უშუალოდ გლობალიზაციას შეეხებოდა მაგ. „გლობალიზმის იდეა და განმანათლებლობის უნივერსალიზმი“ (ნ. ფირცხალავა); ან კიდევ „გლობალიზმისა და ტრადიციონალიზმის ურთიერთმიმართება“ (თ. ფანჯიძე); იყო ორგინალური სათაურის მოხსენებებიც – მაგ. „მუსლიმის შვილი“ და „ქრისტიანად დაბადებული“ (ს. რატიანი); ან კიდევ „ქვაზირელიგია, გლობალიზაციის გამოწვევა (ა. ჯოხაძე). წარმოდგენილ იყო შეა საუკუნეების ისტორიული თემატიკაც „ქრისტიანობისა და ისლამის გაერთიანების მცდელობა ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში“ (ი. ხუბაშვილი) და ახალი დროის ისტორიაც „ლაიციზმი-საკულარიზმი თურქეთში“ (ნ. ციხისთავი); ასევე, ქრისტიანულ-ისლამური

ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მოხსენებებიც – „იქსო და მარიამი ყურანში” (პ. დიუმულენი); „რწმენის ზოგადი ასპექტები ისლამსა და ქრისტიანობაში” (ნ. ბოიტლი). თანამედროვე ქართულ საზოგადოების აქტუალურ პრობლემებს შეეხებოდა მოხსენებები; „ქრისტიანობა, საზოგადოება, თანამედროვეობა” (პ. კობახიძე) და „მოდერნიზმი და სეკულარიზაცია” (გ. ზედანია).

ყოველ მოხსენებას, ისევე როგორც სიმპოზიუმის პირველ დღეს, მრავალი კითხვა და ცხარე დებატები მოსდევდა, ამიტომ დაძაბულმა და საინტერესო ინფორმაციით აღსავსე დღემ ისე უეცრად გაირბინა, რომ მონაწილეებს დაღლა არ უგრძვნიათ, თუმცა არც მრგვალი მაგიდისათვის დარჩათ დრო. ხოლო მათ ვინც ვერ შეძლო უშუალოდ მოქსმინა გლობალიზაციისადმი მიძღვნილი მოხსენებები, არც თუ შორეულ მომავალში საშუალება ექნებათ სპეციალურ კრებულში გაეცნონ ვრცელი სახით ყველა წარმოდგენილ მოხსენებას.

სულხან-საბა ორბელიანის სახ. ინსტიტუტი და რელიგიათმცოდნეთა კავშირი, მომავალი წლისათვის გეგმავს ბიოეთიკისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ფორუმის მოწყობას. ამიტომ სიმპოზიუმის ორგანიზაციორები მზად არიან ითანამშრომლონ ყველა იმ დაინტერესებულ ორგანიზაციისთან ან კერძო პირთან, ვინც გამოთქვამს სურვილს მიიღოს მონაწილეობა ამ მნიშვნელოვან და ჩვენი ქვეყნისათვის შედარებით უცხო, მაგრამ უაღრესად საჭირო თემატიკისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სიმპოზიუმის ჩატარებაში.

## ნუგზარ ბარდაველიძე

### წეროვნის საეპარქიო სახლის მთავარი მოვლენები:

17-22 მაისს, წეროვანს სტუმრობდა პილიგრიმთა ჯგუფი საფრანგეთიდან ეპისკოპოს მადეკის ხელმძღვანელობით. ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, ტურისტული ფირმის ხელმძღვანელი გილონ ვერნე, ეწვია საქართველოს მისი ტურისტული პოტენციალის შესწავლის მიზნით. მან განაცხადა რომ კმაყოფილი დარჩა ტურისტული ფირმა „ომნეს ტურ“-თან თანამშრომლობით და საეპარქიო სახლის მიერ სტუმართა მიღების შესაძლებლობებით. ასევე, აღნიშნა რომ მომავალში ორგანიზებას გაუწევს პილიგრიმთა ჩამოსვლას საქართველოში.

25-26 მაისს, წეროვანში იმყოფებოდნენ საერთაშორისო ასოციაცია „რწმენა და სინათლის“ კოორდინატორები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. შეკრების მთავარი მიზანი იყო მოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზება „ზონალური ფორმაციის შეხვედრის“ ჩასატარებლად, რომლის განხორციელებაც იგეგმება მიმდინარე წლის აგვისტო-სექტემბერში. სავარაუდოდ, ამ შეხვედრაზე მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა სხვადასხვა ქვეყნებიდან მიაღწევს 120 დელეგატს.

**საუკუნო განსვენება მიანიჭე მათ, უფალო!**

ვალიკო გიორგაძე

\* 22. 07. 1929 წ. თბილისი

† 21. 06. 2007 წ. თბილისი

გრიგოლ ხითარიანი

\* 12. 05. 1927 წ. შრომა

† 2. 06. 2007 წ. შრომა

თინა (თერე) თელიევი

\* 15. 06. 1928 წ. ვალე

† 4. 06. 2007 წ. ვალე

შაქრო ხითარიშვილი

\* 18. 03. 1930 წ. ვალე

† 30. 05. 2007 წ. ვალე

ვასილ მამულაშვილი

\* 31. 01. 1951 წ. ახალშენი

† 2. 06. 2007 წ. ახალშენი

ნანული ჩილინგარაშვილი

\* 28. 03. 1955 წ. არალი

† 3. 06. 2007 წ. ახალციხე

## **სარჩევი**

რედაქტიოს გვერდი

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

სოციალური პრობლემები

საუბარი ეპისკოპოსთან

ინტერვიუ

ინფორმაცია

საგანგებო ჩანართი:

მამა პავლე შჩეპანეკის დანატოვარი

## **რედაქცია:**

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

ნუგზარ ბარდაველიძე

ნატო ბიგვავა

ვერიკო ნოზაძე

მერაბ ლალანიძე  
ზაზა შათირიშვილი  
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4  
ტელ.: 98-95-16  
რეგისტრაციის № 1853  
დაარსდა 1994 წ.  
მანანა ანდრიაძის მიერ  
© „საბა“, 2007

## მამა პავლე შჩეპანეგის დანატოვარი საგანგებო ჩანართი

**21 ივლისს მამა პავლე შჩეპანეგის მოხსენიების დღეა.**

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მამა პავლემ წერილი გადმომცა და მისი ქართულად თარგმნა მოხოვა. თხოვნა სიამოვნებით შევუსრულებ, რადგანაც სტატია ძალიან მომეტონა. გავიდა წლები და შემდეგ ეს წერილი აღარც კი გამხსენებია და სულ ახლახან შემთხვევით გადავაწყდი ჩემს ქაღალდებში. მაგრამ, როდესაც გამახსენდა, რომ 21 ივლისს მამა პავლე შჩეპანეგის გარდაცვალებიდან 9 წელი შეუსრულდება, მივხვდი, ეს შემთხვევითობა არ იყო: დმერთს სურდა, კიდევ ერთხელ შეეხსენებინა ჩვენთვის კამილიელთა საყვარელი შვილი, რომელმაც თავისი უანგარო მსახურებით სამუდამოდ დაამახსოვრა თავი გარ შემომყოფთ.

მამა პავლემ თავისი სიცოცხლე იქნოს მიანდო და ჩვენც ამასვე მოგვიწოდებს, მივდიოთ მის შეგონებებს!

მამა აკაკი ჭელიძე

“რისთვის დაგხოხავ, თუმცი მხრებზე ფრთები მასხია?”

მოგზაურო,

შენ მე არ მიცნობ, სამაგიეროდ, მე გიცნობ კარგად. დიდხანს ვილოცე შენთვის, ვიდრე ამ ბარათს საფოსტო ყუთში ჩავაგდებდი. ჩემს უურს სწვდებოდა შენი ჩურჩული, მოშრიალე დამეულ ეჭვთა მარტოობაში. ტკივილისას, ვეხმარებოდი შენს სასთუმალთან მოდარაჯე მზრუნველ ღმერთს შენი ცრემლების შეგროვებაში, რათა არცერთი მათგანი არ მისცემოდა დავიწყებას უკუნისამდე. არადა, რამდენ ტკივილს დაუდია ბინა შენს ჭერქვეშ! სიძნელეები სამსახურში, ჯერ კიდევ ჩაუბარებელი გამოცდები, იმედგაცრუება ოჯახში, მონატრება, მარტოობა... ამდენი ტკივილი. სიხარულში ვიჭერდი შენს დიმილს, როგორც პეპლებს, რათა გამომეშვა ისინი ზამთარში მოგონებათა თბილ მდელოებზე, რადგან ასე იშვიათად გვესტურებიან ხოლმე...

არ მიცნობ მაგრამ... ხომ შეგიძლია მოუსმინო სიტყვებს, რომლებიც მხოლოდ აჩრდილია იმისა, რის შესახებაც მსურს შენ მოგითხოვ. “აჩრდილია”,

რადგანაც ასე რთულია სიტყვებში დაიჭირო ჩამავალი მზის მხურვალება, როდესაც მთელი ქვეყანა, სულ რაღაც რამოდენიმე წამით გავარდისფრდება მათვისაც კი, რომელთაც არა სჩვევიათ ყოველდღიურად ვარდისფერი სათვალეების ტარება.

როგორ აღვწერო მაისის დილით ერთი წუთით ატირებული წვიმის გემო?

როგორ მოვუხმო მოგონებებში საზეიმო ნაძვის ხის სუნს, თუმც კი ყოველდღიურობის მორევში ვყვინთავთ, და განწყობაც სულაც არ ჰგავს ახალი წლისას?

სიტყვები მხოლოდ აჩრდილია... მე კი მსურს გიამბო იესოზე.

სიტყვები მხოლოდ აჩრდილია, მაგრამ შენ, მხოლოდ შენ, მოგზაურო, ძალგიძს სიცოცხლე შთაბერო მათ, ახალი სიცოცხლე. შენი სიცოცხლე. ისევე, როგორც ანგელოზის ხარებით გაოგნებულმა გოგონამ ნაზარეთიდან, ნაზარეთიდან, რომელიც ორი ათასი წლის წინათ სულ სხვა იყო ვიდრე დღეს არის, მაგრამ ხალხი კი ცხოვრობდა იქ ჩემი მსგავსი, შენი და ჩემი. უდიდესი ხელოვნებაა უსმინო ისე, რომ მოისმინო მოსაუბრის მიერ ნათქვამი. ისე გატაცებით ისმენდა იგი, რომ მასში თავად სიტყვა ხორციელ იქმნა. გასაოცარია, რომ სწორედ მოსმენა გახდა ახალი დასაბამის დასაბამი.

მოგზაურო, ესაა შენი მოსმენის ჟამი. ჟამი, რომელსაც ძალუბს შეგიძლვეს შენ ახალ, გაცილებით უფრო მშვენიერ, სავსე, ნამდგილ ცხოვრებაში.

ედით შტაინი - დღეისათვის შერაცხულია იგი წმიდანად, წარმოშობით ებრაელი. როგორც ზრდასმულმა პიროვნებამ მან გადაწყვიტა სრულად მიეძღვნა თვისი სიცოცხლე იესოსათვის. მოწოდების ხმის მიყოლით გახდა კარმელის მონაზონი.

დედამ, როდესაც მიაცილებდა მას მონასტრის კარიბჭესთან, სასოწარკვეთილმა უკანაკნელ ცდასდა მიმართა, რათა ქალიშვილს თავის გიურ ჩანაფიქრზე ხელი აეღო. ეკითხებოდა:

- განა არ შეიძლება ემსახურო ღმერთს მოსეს რჯულში?
- შეიძლება - მიუგო წენარად მომავალმა და ბენედიქტამ.
- და განა არაა მშვენიერი ჩვენი ადათი, ლოცვები ან სინაგოგა?
- მშვენიერია.
- მაშ რადად გვტოვებ?! - ქვითინით შესძახა დედამ.

- ხედავ, დედიკო, ყველაფერი, რაც თქვი, სწორია და მართალი ხარ შენ სრულებით. მშვენიერია ჩვენი რჯული, ღმრთის სადიდებლად მონიჭებული. მშვენიერია სინაგოგა და რაბინთა მოძღვრებანი. ეს ყოველივე მშვენიერია, მაგრამ მე ვპოვე ის, რაც ყოველივეზე მშვენიერია. როდესაც აღმოაჩენ ყოვლადმშვენიერს, ვედარა გყოფნის ის, რაც ძლივს თუ იმსახურებს მშვენიერის ეპითეტს.

მიატოვო მშვენიერი, რათა განიცადო ყოვლადმშვენიერი.

ხვდები რისი თქმა მწადია შენოვის? მიატოვო, რათა მოიპოვო. და ეს არა იმის გამო, რომ შენს ცხოვრებას თითქოს აკლდა სრულად აზრი ან მშვენიერება, არა! არამედ, რათა უფრო მაღლა ააღწიო. რათა გაარღვიო ახალი, აქამდე დაფარული პორიზონტები. ეს არის გამოწვევა. ეს არის მოწვევა.

იყო ერთი მდიდარი კაცი. მას ამქვეყნად უკვე ყოველივე ენახა და გამოეცადა. იცოდა გემო რჩეულ-რჩეული კერძებით გაძლომისა და მყიფე კმაყოფილება, ფლობისაგან მონიჭებული. იცოდა სიმწარე მეგობრის დალატისა

და უმიზნო ცხოვრებით ქანცგაწყვეტის გრძნობა. ბოლოს იპოვა რაღაც, რაც იქცა მისოვის ჭეშმარიტ გატაცებად – მან დაიწყო მარგალიტების შეგროვება. რაღა მარგალიტიო მაინც და მაინც, იკითხავ. ალბათ იმიტომ, რომ მარგალიტი იბადება მოლუსკების ტკივილისა და ტანჯვისაგან, თუმც იშვიათად თუ ახესნდებათ ამის შესახებ ადამიანებს მათი მშვენიერების ჭვრებისას. და როგორა ჰგავს ეს ცხოვრებას ჩვენი მდიდრისას: ხალხი შენატრის, ის კი უბრალოდ იტანჯება. და ვიდრე ჩვენ ამ მსჯელობებში ცოტა შევყოვნდით, მდიდარმა უკვე მოასწრო და შეაგროვა პატიოსან თვალთა გორები. იქნებ ვიდაცას დაექადნა კიდეც, მე მაქვსო მსოფლიოში უდიდესი კოლექცია, მაგრამ არა მას. გაიფიქრა: “რაა სიმრავლე?!” და ინატრა მარგალიტი უძვირფასესი. დაუწყო ძებნა. დაუწყო და იმწამსვე პპოვა. თითქოსდა არა მდიდარს ეძიოს მარგალიტი, მარგალიტს – იგი. მის მოლოდინს გადააჭარბა. იმაზე მეტად მშვენიერი იყო ვიდრე ძალგიძს წარმოიდგინო. გამყიდველმა დაადო ფასი, ძალზე მაღალი. მრავალნი მოდიოდნენ და ბრუნდებოდნენ ხელცარიელნი, თუმც კი თითეულს გააჩნდა თანხა მის შესაძენად. ყოველ ჯიბეს სწვდებოდა იგი. დიახ, ყოველს, შენც შეძლებდი მის შეძენას. გაინტერესებს მისი ფასი? ყოველივე, რაც გაგაჩნია. ყოველივე, რაც გაგაჩნია ამ ყველაზე მშვენიერისოვის. გასაოცარი გარიგებაა. დარიბისოვის იოლია მისი მიღება. უფრო ძნელია მდიდრისაოვის, ამიტომაცაა, რომ უიმედოდ ცდილობენ თავიანთი სიმდიდრის ტვირთით გაძვრენ გადაწყვეტილების ნემსის ყუნწში: “კი მაგრამ, ლირს კი?” ჩვენმა გმირმა გადაწყვიტა, შენ კი რას იზამ? მან დაიმკვიდრა განძი, რომელსაც მას ვერავინ შეეცილება. შენ, შენ რას იზამ?

დაფიქრდი, ეს ძვირფასი მარგალიტი, რომელსაც ნატრობ, ეძებ უკვე დიდი ხანია, არის შენი და იქსოს ერთად ცხოვრება. არაფერია ამ ქვეყანაზე უფრო ძვირფასი ან მშვენიერი, ვიდრე ცხოვრება იქსოსთან. როცა მოიწვევ მას შენს ჭერქვეშ, მოვა მაშინვე, რადგან როგორც თავადვე ამბობს: “აჲა, ვდგავარ კართან და ვაკაკუნებ. თუ მოისმენს ვინმე ჩემს ხმას და გამიღებს კარს, შევალ მასთან და ვივახშებ მასთან ერთად, და ის კი – ჩემთან” (გამოცხ. 3, 20).

როდესაც მოიწვევ მას შენს ცხოვრებაში, უთუოდ მოვა, რამეთუ თავად დაგვპირდა ამას. მოვა მიუხედავად შენი ცოდვისა, და თვით მის გამოც, რამეთუ ძე კაცისა, როგორც ამბობს იქსო საკუთარ თავზე, არ მოსულა შენს განსასჯელად ცოდვის გამო, არამედ შენს დასახსნელად ცოდვისაგან. იქსოს მომტევებელ სიყვარულთან შეხვედრაში შენი ცოდვები, ისინიც კი, ძოწეულივით გაწითლებულნი, თოვლზე მეტად გათეორდებიან, მოგატევება და იქნები თავისუფალი. იქსომ განვლო შემაძრწუნებელი აგონია და მოკვდა სასტიკი სიკვდილით, რათა ეხსენი შენს ცოდვათაგან. რათა თავისკენ მიეზიდე და მოეძღვნა შენთვის სიცოცხლე. და არა რაღაც საცოდავი არსებობა, არამედ “სიცოცხლე უხვად” (იოან. 10, 10), მშვენიერი, ზეციური სიცოცხლე, რომელსაც თავის დასაწყისი აქვს აქ, უკვე ამ ქვეყანაზე. მრავალი ზერელედ უყურებს მის სიყვარულს. შთანქმულნი შრომით, სახლის ლაგებით, ამხანაგებთან მასლაათით, ბაგშვთა დატუქსვით, ანდა უამრავი სხვა საქმეებით ვივიწყებთ იქსოს.

განა არაა ძალზე ცოტა, თუკი უფალთან შენს შეხვედრებს შემოსაზღვრავ საკვირაო წირვით ტაძარში? შეხედე, კვირა ხომ შედგება ას სამოცდარვა საათისგან, შენ კი ერთი საათით გსურს გაუსწორო ანგარიში უფალს ღმერთს

შენსას? შეადარე ეს საათი და ტელევიზორთან გატარებული საღამოები. პო, მე მგონი რომ საკმარისად შთამბეჭდავი სურათი ჩნდება.

ეხლა შეხედე რამდენი საქმე არ გამოგდის: არასოდეს არ კმარა ფული, ნაბიჯს გადადგამ, და ის თურმე ყოფილა მცდარი, ახლობლებთანაც მუდამ გიჭირს საერთო ენის გამონახვა. საღმრთო წერილი გვიმარტავს, თუ რად ხდება ასე:

“თუკი უფალი არ ააშენებს სახლს,  
ამაოდ შრომობენ მისი მშენებლები.  
ამაოდ დგებით მზის ამოსვლამდე,  
აგვიანებო მოსვენებას,  
პურსა ჭამთ ჭმუნვით მოპოვებულს,  
ამდენს იგი ძილ შიც კი აძლევს თავის მოყვარულთ” (ფს. 126/127, 1-2).

ღმერთს სურს იზრუნოს შენზე. სურს გადაწყვიტოს შენი პრობლემა, აღმოგიჩინოს სიყვარული კონკრეტული დახმარების (სულიერის თუ ხორციელის) ნიშნის მიერ. ღმერთი იცნობს ადამიანთა საჭიროებებს. ამის შესახებ შეასენებს მოსე რჩეულ ერს:

“გახსოვდეს მთელი ის გზა, რომლითაც მოჰყავდი ეს ორმოცი წელი უფალს უდაბნოში. (...) გაჭმევდა მანანას (...) აგერ ორმოცი წელია შესამოსელი არ დაგძველებია ტანზე და ფეხები არ დაგსიებია. (...)

უფალს, შენს ღმერთს მიჰყავხარ მადლიან ქვეყანაში, ნაკადულთა და წყაროთა ქვეყანაში, სადაც წყალი უხვად მოედინება მთად და ბარად, ხორბლისა და ქერის, ყურძნის, ლეღვისა და ბროწეულის ქვეყანაში – ზეთისხილისა და თაფლის ქვეყანაში – ქვეყანაში სადაც არაფერი არ მოგაკლდება” (მეორე რჯ. 8. 3, შმდ).

ყოველივე ამის მოძღვნა სურს კეთილ ღმერთს შენთვის, მოგზაურო, თუ შენც ისურვებ. ნუ იქნები ისე ზარმაცი, რომ არ მიიღო მისგან კურთხევა.

ნუ შეგაშინებს თუ განგდევნიან იმ პატარა, ვიწრო გატკეპნილ გზიდან, რომელშიც თავად ჩაძვერო.

მერწმუნე, რადგან მე ამას უკვე განვიცდი საკუთარ თავზე: თუ კი სთხოვ იქსოს, რომ შემოვიდეს შენს ცხოვრებაში და დაგარწმუნოს, რომ იგი კვლავაც იგივ ღმერთია, რომელიც ბიბლიურ ეპოქაში მოქმედებდა სასწაულებით, მაშინ შენი ცხოვრების სხვადასხვა მხარე შეცვლას დაიწყებს. წმიდაგყოფს შენ, გაგაბედნიერებს.

დღეს გმართებს ნაბიჯის გადადგმა. შეგიძლია უპასუხო “პო” ან “არა”. გადაწყვეტილება მხოლოდ შენზეა დამოკიდებული.

იქნებ ფიქრობ: “გამბედაობა არ გამაჩნია. არ შემიძლია. არ მეყოფა ძალა იმისათვის, რომ იქსოს ვუერთგულო, რა საჭიროა თვალთმაქცობა.”

უფალი არ ელის რომ შენს თავში იპოვო ძალა. იგი თავად უზრუნველგყოფს საჭირო ძალით, ნამდვილად მნიშვნელოვანია გაითვითცნობიერო, რომ უძლეური ხარ და საჭიროებ სრულად მინდობას ღმერთზე, ღმერთზე რომელსაც შესწევს ძალი. იგი მოელის შენს ნაბიჯს. მისცემ თუ არა შესაძლებლობას, რათა გაქციოს სრულიად ახალ ადამიანად. ღმერთს ვევედრები, რათა დასთანხმდე.

უძვირფასესო უფალო იქსო, შენს წინაშე ვდგები და შეგთხოვ, რათა მიანიჭო ჩემს მეგობარს ძალი სწორი ნაბიჯის გადასადგამად, უფალო,

დაეხმარე, რათა მთლიანად შენ მოგენდოს. ქმენ რათა არ წაბორძიკდეს. შეგთხოვ, მოაშორე შიშის გრძნობა, რომელიც, შეიძლება, აბრკოლებს მას, მიეც გამბედაობა, რათა გამოგყვეს შენ.

და ეხლა, თუკი გადაწყვიტე, მიანდო შენი უძვირფასესი სიცოცხლე იესოს, შეგიძლია ილოცო ჩემთან ერთად ამ სიტყვებით ან სხვა ლოცვით, რომელიც უფრო მართებულად მოგეჩვენება:

უფალო იესო, ეხლა შენს ხელთ მოგიძლვნი მთელს ჩემს სიცოცხლეს. მე შენ გეგუოვნი და მწადია ვიყო შენი უკუნისამდე. გთხოვ, გადმოხედე ჩემს გულს, რათა მიჩვენო ის ყველაფერი, რაც შენ გამწუხრებს მასში, უფალო. მწადია გარდავქმნა ჩემი ცხოვრება იმ ძალით, რომელსაც შენ მომმადლი.

მაკურთხე, რათა მივიღო შენში ცხოვრების მთელი სიუხვე. შემოაბიჯე ჩემს ყოველ სიძნელეში, იმედსა და ჩანაფიქრში. განკურნე ცოდვის წყევლისაგან ჩემი წარსული. დამიფარე ყოველგვარი ბოროტისაგან აწ და მარადის.

შენ ხარ იესო, ჩემი უფალი. ამენ.

**სურვიციუსი**  
**(კამილიელი მამა პავლე შჩეპანეკი)**  
რომი